

ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში

2021 წლის კვლევის ანგარიში



თბილისი
2021

კვლევა ჩაატარა CRRC საქართველომ, ევროპის ფონდის დაკვეთით.



კვლევა მხარდაჭერილია შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (Sida) და დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Danida) მიერ. ანგარიშში წარმოდგენილი გამოთქმული შეფასებები და მოსაზრებები შესაძლოა, არ ემთხვეოდეს შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა და დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პოზიციებს.



სარჩევი

შეჯამება.....	2
აღქმები ევროკავშირის შესახებ.....	2
ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში	3
ცოდნა ევროკავშირის შესახებ	5
ევროკავშირის შესახებ მიღებული ინფორმაცია.....	5
საქართველოს გაწვევრიანება ევროკავშირში	6
შესავალი.....	8
მეთოდოლოგია	11
კვლევის შედეგები	12
ევროკავშირის შესახებ შეხედულებები	12
ევროკავშირი საქართველოში	18
ევროკავშირთან ურთიერთობების აღქმა.....	18
ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარების აღქმა.....	19
ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება.....	22
მოგზაურობა, მუშაობა და ემიგრაცია ევროკავშირში	24
ცოდნა ევროკავშირისა და მისი პოლიტიკის შესახებ საქართველოში.....	28
ცოდნა ევროკავშირის შესახებ	28
ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის პროცედურების ცოდნა	29
ვინ იცის მეტი ევროკავშირისა და მისი პოლიტიკის შესახებ საქართველოში?.....	32
ევროკავშირის შესახებ მიღებული ინფორმაცია.....	33
საქართველოს გაწვევრიანება ევროკავშირში	35
ქვეყნის ევროკავშირში გაწვევრიანების მხარდაჭერა	35
საქართველოს ევროკავშირში გაწვევრიანების მზაობის აღქმა.....	39
საქართველოს ევროკავშირში გაწვევრიანების შედეგების აღქმა	41
დასკვნები.....	43
დანართი 1: ეთნიკური უმცირესობები.....	47
ბიბლიოგრაფია.....	50

აბრევიატურების ჩამონათვალი

CAPI	კომპიუტერის მეშვეობით პირისპირ გამოკითხვა
DCFTA	შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომხველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ
ENP	ევროპული სამეზობლო პოლიტიკა
EU	ევროკავშირი
EUMM	ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია

შეჯამება

აღქმები ევროკავშირის შესახებ

- საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ევროკავშირს დადებითად აღიქვამს. ჯამში, მოქალაქეების 46% ან ძალიან დადებითადაა განწყობილი ევროკავშირის მიმართ (16%), ან დადებითად (30%). დაახლოებით 43%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს, გამოკითხულთა უმცირესობას (7%) კი უარყოფითი, ან ძალიან უარყოფითი.
- ეთნიკურად ქართველებსა (6%) და აზერბაიჯანლებს (4%) ნაკლებად აქვთ უარყოფითი შეხედულებები ევროკავშირის შესახებ, ეთნიკურად სომხების (19%) და სხვა ეთნიკური ჯგუფებისგან (24%) განსხვავებით. ეთნიკურად ქართველების უმეტესობა (48%) ევროკავშირს დადებითად აღიქვამს, სომხების უმეტესობა (45%) კი - ნეიტრალურად.
- ევროკავშირი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ნდობის მქონე ინსტიტუტია. საქართველოს მოსახლეობა ევროკავშირს უფრო ენდობა, ვიდრე საკუთარი ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების უმეტესობას. ნდობის მაჩვენებლით (50%), ანუ „სრულიად ვენდობი“ და „ვენდობი“ პასუხების ჯამური მაჩვენებლით, ევროკავშირი მხოლოდ ჯარს (77%) და რელიგიურ ინსტიტუტებს (70%) ჩამორჩება.
- ეთნიკურად ქართველების 52% ევროკავშირს სრულიად ენდობა ან ენდობა. მათ მოსდევს ეთნიკურად აზერბაიჯანლები (47%), სომხები (38%) და სხვა ეთნიკური ჯგუფები (21%). ეს უკანასკნელი ჯგუფი უფრო მეტად არ ენდობა ევროკავშირს (46%), ვიდრე ეთნიკურად სომხები, აზერბაიჯანლები და ქართველები.
- დაახლოებით 34% ამბობს, რომ უპირველესად, ევროკავშირი საერთაშორისო ორგანიზაციაა. მოსახლეობის მეოთხედზე მცირედით ნაკლებისთვის (23%) ევროკავშირი პოლიტიკური ორგანიზაციაა, 22%-თვის კი - ეკონომიკური. უფრო მცირე რაოდენობას ევროკავშირი სამხედრო ბლოკად (4%) ან კულტურულ გაერთიანებად (2%) მიაჩნია. იმ დასახლებებში, სადაც ქართულენოვანი მოსახლეობა ჭარბობს, მცხოვრებმა რესპონდენტებმა უფრო იცინ, თუ რა არის ევროკავშირი და მხოლოდ 12% ამბობს, რომ არ იცის ან არ სურს პასუხის გაცემა. ამის საპირისპიროდ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ რესპონდენტებს შორის კითხვაზე პასუხი თითქმის ნახევარს (42%) არ აქვს.
- მოსახლეობის 54% სრულიად არ ეთანხმება ან უფრო არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ევროკავშირი საქართველოს ეროვნული ტრადიციებისთვის საფრთხეს წარმოადგენს; და მაინც, ამ დებულებას გამოკითხულთა 35% დაეთანხმა. კვლევის სხვადასხვა ტალღიდან ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც უმრავლესობა ევროკავშირს ქართული ტრადიციებისთვის საფრთხის შემცველად არ აღიქვამს. 2015 წელთან შედარებით, როდესაც რესპონდენტების მხოლოდ 34% სრულად ან ნაწილობრივ არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას, 2021 წლის გამოკითხვაში, მსგავსი შეხედულების მქონე რესპონდენტების წილი 20 პროცენტული პუნქტით გაზრდილია.
- ახალგაზრდა რესპონდენტები, ეთნიკურად ქართველები, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები უფრო მეტად არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ევროკავშირი ქართულ ტრადიციებს საფრთხეს უქმნის. მსგავსი შეხედულება აქვთ მათ, ვინც არასდროს ესწრება რელიგიურ მსახურებებს და ვისაც უფრო მაღალი ეკონომიკური სტატუსის აღქმა აქვს. ხანშიშესული რესპონდენტები, საშუალო ან პროფესიული განათლების მქონე პირები, რესპონდენტები, რომლებიც რელიგიურ მსახურებებს ესწრებიან და ისინი, ვინც

ეკონომიკური სიტუაციის აღქმის შკალაზე დაბალ პოზიციას იკავებენ, უფრო მაღალი ალბათობით მიიჩნევენ ევროკავშირის საფრთხედ ქართული ტრადიციებისთვის.

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

- უმრავლესობის აზრით (56%), ამჟამად, ევროკავშირის და საქართველოს ურთიერთობები ნეიტრალურია; 28% ფიქრობს, რომ ურთიერთობები ძალიან კარგია, ან უფრო კარგია, ვიდრე ცუდი, ხოლო 13%-ს არ აქვს გამოკვეთილი პოზიცია და არ იცის პასუხი ამ კითხვაზე. მხოლოდ 4 % აცხადებს, რომ ურთიერთობები ცუდია, ან უფრო ცუდია, ვიდრე კარგი.
- მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ ევროკავშირი ის ორგანიზაციაა, რომელთან პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორობისკენ საქართველო ყველაზე მეტად უნდა ისწრაფვოდეს. პოლიტიკური თანამშრომლობის კუთხით, ევროკავშირი პირველობას იყოფს შეერთებულ შტატებთან; გამოკითხულების 60%-თვის ორივე არის პირველი არჩევანი ამ კუთხით. რაც შეეხება ეკონომიკურ თანამშრომლობას, საქართველოს მოქალაქეები ყველაზე ხშირად ევროკავშირს მოიაზრებენ სასურველ პარტნიორად (59%). კითხვაზე, თუ ვინ დაეხმარებოდა საქართველოს ყველაზე მეტად, რესპონდენტები ყველაზე ხშირად ევროკავშირს ასახელებენ (43%), მას მოსდევს შეერთებული შტატები (27%). მხოლოდ 13% ასახელებს რუსეთს ქვეყნად, რომელსაც ყველაზე უკეთ შეუძლია საქართველოს მხარდაჭერა.
- მოსახლეობის დიდ ნაწილს თვლის, რომ ევროკავშირის დახმარება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. დაახლოებით 86%-თვის ეს დახმარება ძალიან მნიშვნელოვანია, ან მნიშვნელოვანია.
- რესპონდენტებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, თუ რა დახმარებას უწევს ევროკავშირი საქართველოს. მოსახლეობის მეოთხედზე მეტმა ან არ იცის, რა დახმარებას უწევს ევროკავშირი საქართველოს (22%), ან ფიქრობს, რომ ევროკავშირი საქართველოს არ ეხმარება (7%). გამოკითხულთა 43% ფიქრობს, რომ ევროკავშირი საქართველოზე ჰუმანიტარულ დახმარებას გასცემს; 12%-ს მიაჩნია, რომ ორგანიზაცია ჩვენს ქვეყანას სოციალური პრობლემების გადაჭრაში ეხმარება. 11%-ის აზრით, ევროკავშირი საჯარო ინსტიტუტების განვითარებაში გვეხმარება, 10%-ის აზრით კი - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. აღსანიშნავია, რომ 2019 წელთან შედარებით (29%), ახლა უფრო მეტმა არ იცის ევროკავშირის დახმარების შესახებ. იმ ადამიანების წილი, ვინც ფიქრობს, რომ ევროკავშირი საქართველოს ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს, ათი პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო, ოთხი პროცენტული პუნქტით უფრო მეტს მიაჩნია, რომ ევროკავშირი საქართველოს ეკონომიკაში აკეთებს ინვესტიციას.
- მოსახლეობის დიდი ნაწილი თვლის, რომ ევროკავშირის მიერ ქვეყნისთვის გაწეული დახმარება წინასწარ განსაზღვრული მიზნებისთვის არ იხარჯება. 67% აღნიშნავს, რომ ეს თანხები მთლიანად, ან ნაწილობრივ, განკუთვნილი მიზნებისთვის არ არის დახარჯული.
- უმეტესობა (დაახლოებით 43%) დადებითად აღიქვამს ევროკავშირის როლს 2008 წლის აგვისტოს ომში. 26% მიიჩნევს, რომ ორგანიზაციამ კონფლიქტში ნეიტრალური როლი ითამაშა, 14%-ის აზრით კი, მისი როლი, ძირითადად, ნეგატიური იყო.
- მოსახლეობის თითქმის ნახევარს (47%) არ სმენია საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობის შესახებ. 20% სწორად პასუხობს EUMM-ის ოპერაციების შესახებ დასმულ კითხვას და აღნიშნავს, რომ მისია კონფლიქტით

დაზარალებულ ადგილებში ვითარების სტაბილიზაციის მიმართულებით მუშაობს. 19%-ს შეცდომით მიაჩნია, რომ სადამკვირვებლო მისია დემოკრატიულ და ბაზარზე ორიენტირებულ რეფორმებს უჭერს მხარს, 8% ფიქრობს, რომ EUMM-ი სამხრეთ კავკასიაში თანამშრომლობის გაძლიერებაზე ზრუნავს, ხოლო 6%-ის აზრით, მისიის მიზანია, გააძლიეროს საქართველოს კავშირები ევროკავშირთან უმაღლესი განათლების სფეროში.

- მხოლოდ 39%-ს სმენია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესახებ და ამავე რაოდენობას (39%), ასოცირების ხელშეკრულებაზე ინფორმაცია არ აქვს. დაახლოებით 6%-ს ნათელი პასუხი არ აქვს. ასოცირების ხელშეკრულების შესახებ ინფორმირებულობის დონე ყველაზე დაბალია 2015 წლის შემდეგ (63%).
- ეთნიკურად ქართველები (43%), უმაღლესი განათლების მქონეები (60%) და ისინი, ვისაც საკუთარი შემოსავალი საკმარისად ან საკმარისზე მეტად მიაჩნია (49%) უფრო მეტად იცნობენ შეთანხმებას. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, მათ შორის, სომხები (15%) და აზერბაიჯანლები (6%), ასევე საშუალო ან უფრო დაბალი განათლების მქონეები (25%) კი - უფრო ნაკლებად.
- საყურადღებოა, რომ რესპონდენტები, რომლებმაც იციან ასოცირების ხელშეკრულების შესახებ, მოელიან, რომ ხელშეკრულება წვლილს შეიტანს გრძელვადიანი ვიზების აღების პროცედურების გამარტივებაში, ჯანდაცვის და უსაფრთხოების გაუმჯობესებაში, უმაღლესი და საშუალო განათლების ხარისხის გაზრდაში, დასაქმების შესაძლებლობების წარმოქმნასა და ენერგოეფექტიანობის უზრუნველყოფაში.
- მოსახლეობის მეოთხედზე მეტი განიხილავს სამუშაოდ უცხოეთში წასვლას. ზოგადად, იმ რესპონდენტების უმრავლესობა, რომლებსაც სამუშაოდ საზღვარგარეთ წასვლა სურთ, ემიგრაციას ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში (57%), ან ჩრდილოეთ ამერიკაში (20%) ფიქრობენ. დაახლოებით ერთი მესამედი გერმანიაში ემიგრაციას ამჯობინებდა (33%); მას მოსდევს შვედეთში (17%), იტალია (7%) და რუსეთი (5%).
- რესპონდენტების მხოლოდ 13% განიხილავს საქართველოს სამუდამოდ დატოვებას და სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლას. აღსანიშნავია, რომ ჯამურად, უფრო მეტი ადამიანი ირჩევს ევროკავშირის ქვეყნებს (39%) და მცირედით ნაკლები (38%) - ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებს, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებსა და კანადას. უფრო მცირე რაოდენობას სურს ევროპის სხვა, ევროკავშირის არაწევრ ქვეყანასა (10%) და რუსეთში (5%) წასვლა.
- ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედების შემდეგ მოსახლეობის დაახლოებით 11%-მა ერთხელ მაინც იმოგზაურა, 86%-ს კი ამის შესაძლებლობა არ ჰქონია. ამ გამოკითხვის 2019 წლის ტალღასთან შედარებით, ხუთი პროცენტული პუნქტით გაიზარდა მათი რაოდენობა, რომლებსაც ევროკავშირში/შენგენის ქვეყანაში უმოგზაურიათ.
- ახალგაზრდებს, ეთნიკურად ქართველებს, უმაღლესი განათლების მქონე და შედარებით შეძლებულ მოსახლეობას უფრო მაღალი ალბათობით უმოგზაურია ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მინიჭების შემდეგ. 35 წელზე ახალგაზრდა ქართველების დაახლოებით 18%-ია ნამყოფი ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში. ეს მაჩვენებელი 11%-ია 35-დან 54 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში და 6% - 54 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში. უფრო მეტმა ეთნიკურად ქართველმა (12%) გამოიყენა უვიზოდ მიმოსვლის შესაძლებლობა, ვიდრე სომეხმა (5%) და აზერბაიჯანელმა (4%). ეს შესაძლებლობა ასევე გამოიყენეს უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების მეხუთედმა და იმ ადამიანების

16%-მა, ვისაც საკუთარი შინამურნეობის შემოსავალი საკმარისად ან საკმარისზე მეტად მიაჩნია.

ცოდნა ევროკავშირის შესახებ

- საქართველოს ბევრ მოქალაქეს უვიზო მიმოსვლის წესების შესახებ ზედაპირული ცოდნა აქვს. მხოლოდ 7%-მა შეძლო ევროკავშირში/შენგენის ქვეყნებში შესასვლელად საჭირო ხუთი აუცილებელი მოთხოვნის დასახელება. საშუალოდ, რესპონდენტებმა ევროკავშირში გასამგზავრებლად საჭირო მხოლოდ ორი დოკუმენტი დაასახელეს. მნიშვნელოვანია, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, შემცირდა უვიზო მიმოსვლის წესების ცოდნა. უვიზო მიმოსვლის წესების გასაზომად შემუშავებული ინდექსის საშუალო მაჩვენებელი 2017 წელს 2.2 იყო, 2019 წელს ინდექსის მნიშვნელობა 1.9-მდე შემცირდა, ხოლო 2021 წელს კი, მაჩვენებელი 1.75-მდე დაეცა.
- უვიზო მიმოსვლის წესების ცოდნის კუთხით უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ მამაკაცებს, ახალგაზრდებს, სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს, უმაღლესი განათლების მქონეებს და მათ, ვისაც შემოსავალი გაჭირვებით მაინც ყოფნის. ეთნიკურად აზერბაიჯანლები, საშუალო ან უფრო დაბალი განათლების მქონეები და ისინი, ვისაც თავი ეკონომიკურად შეჭირვებულად მიაჩნია, უვიზო მიმოსვლის წესების შესახებ ნაკლებად ინფორმირებულები არიან..
- მოსახლეობის უმეტესობას სჯერა, რომ უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მინიჭების შემდეგ ქვეყნის მოქალაქეები ევროკავშირში მუშაობას შეძლებენ. 62%-ს არასწორად ჰგონია, რომ შეთანხმება ევროკავშირის ქვეყნებში მუშაობის უფლებას ანიჭებს ადამიანებს. მხოლოდ 19%-ს, მართებულად სჯერა, რომ უვიზო მიმოსვლის შედეგად ქართველები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ვერ იმუშავენ.
- უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ფარგლებში მუშაობასთან დაკავშირებული წესების ცოდნა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შემცირდა. 2017 წელს, როდესაც საქართველოს უვიზო მიმოსვლა ახალი მინიჭებული ჰქონდა, უმრავლესობა (59%) ფიქრობდა, რომ ეს რეჟიმი არ აძლევდა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს ევროკავშირში/შენგენის ქვეყნებში მუშაობის უფლებას. აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2019 წელს დაიკლო; თუმცა, უმეტესობას (42%) მაინც მიაჩნია, რომ ქვეყნის მაცხოვრებლებს უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ევროკავშირში მუშაობის უფლებას არ ანიჭებს.
- ევროკავშირის სხვადასხვა პოლიტიკის შესახებ ცოდნის შეფასების ინდექსმა აჩვენა, რომ ქალებს, ეთნიკურად აზერბაიჯანლებს და საშუალო ან უფრო დაბალი განათლების მქონე ადამიანებს უფრო დაბალი ცოდნა აქვთ, ვიდრე კაცებს, სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს და უმაღლესი განათლების მქონეებს.

ევროკავშირის შესახებ მიღებული ინფორმაცია

- უმრავლესობა ევროკავშირის შესახებ ინფორმაციას ტელევიზორიდან იღებს (75%). ამას მოსდევს მეგობრები, ნათესავები და კოლეგები (47%) და სოციალური ქსელები (44%).
- ბოლო ცამეტი წლის განმავლობაში, 2021 წელს ყველაზე დაბალია ევროკავშირის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების ინტერესი. თუ 2009 წელს გამოკითხულთა 66%-ს სურდა ევროკავშირის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღება, 2021 წელს იგივე ტიპის ინფორმაციის მიღების სურვილი გამოკითხულთა მხოლოდ 53%-ს აქვს.

- მოსახლეობის უმეტესობას სურს ინფორმაციის მიღება ევროკავშირისა და საქართველოს შორის არსებულ სავაჭრო ურთერთობებზე (41%). დაახლოებით ერთი მესამედი ევროკავშირის საგანმანათლებლო პროგრამებს ასახელებს (33%), რასაც მოსდევს ევროკავშირის როლი კონფლიქტის მოგვარებაში (24%).

საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირში

- საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს უჭერს. მოსახლეობის სამ მეოთხედზე მეტი (77%) ევროკავშირის წევრობას ხმას მისცემდა. 8% წევრობის წინააღმდეგ მისცემდა ხმას, 6% ხმის მიცემაში მონაწილეობას არ მიიღებდა, ხოლო 9%-ს კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა.
- კვლევის 2019 წლის ტალღასთან შედარებით, ექვსი პროცენტული პუნქტით გაიზარდა ევროკავშირის წევრობის მხარდამჭერთა რიცხვი ჰიპოთეტურ რეფერენდუმში. ეთნიკურად ქართველები (80%) ერთსულოვნად დაუჭერდნენ მხარს ევროკავშირში გაერთიანებას, აზერბაიჯანლებთან (56%) და სომხებთან (49%) შედარებით. ეთნიკურ უმცირესობებს უფრო მეტად ახასიათებთ გაურკვევლობა ამ საკითხში; ისინი ამბობენ, რომ თავს შეიკავებდნენ ხმის მიცემისგან, ან არ აქვთ პასუხი კითხვაზე.
- რესპონდენტები ოპტიმისტურად უყურებენ საკითხს, თუ როდის გახდება საქართველო ევროკავშირის წევრი. 2021 წლის გამოკითხვაში, მოსახლეობის 28%-მა გამოთქვა მოსაზრება, რომ ქვეყანა ევროკავშირის წევრი მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში გახდება, რაც, 2019 წელთან შედარებით, 13 პროცენტული პუნქტით უფრო მაღალი მაჩვენებელია.
- ევროკავშირში გაწევრიანების მხარდამჭერებს, პირველ რიგში, ეკონომიკური სარგებელი ხიბლავთ. 56% აღნიშნავს, რომ ისინი მხარს დაუჭერდნენ ევროკავშირში გაწევრიანებას, რადგან შედეგად, მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა. დაახლოებით 36%-თვის წამყვანი უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსაზრებები აღმოჩნდა, ანუ გარეშე საფრთხეებისგან უკეთ დაცულობა (18%), ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გაზრდილი შესაძლებლობა (17%).
- მართალია, მცირე რაოდენობა ამბობს, რომ ხმას მისცემდა ევროკავშირში გაწევრიანების წინააღმდეგ ჰიპოთეტურ რეფერენდუმში, თუმცა, 31% საკუთარ არჩევანს ამყარებს მოსაზრებით, რომ ევროკავშირი ზიანს მიაყენებს ჩვენს კულტურასა და ტრადიციებს. იგივე რაოდენობა (31%) ფიქრობს, რომ ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს დამოუკიდებლობას შეზღუდავს, ხოლო 20%-ის აზრით - რუსეთთან ურთიერთობას გააფუჭებს.
- მთლიანობაში, უფრო მეტი ადამიანი ფიქრობს, რომ საქართველო ევროკავშირის წევრობისთვის მზად არაა, ვიდრე, რომ მზადაა. უფრო მეტი მიიჩნევს, რომ ქვეყანა ევროკავშირის წევრობისთვის უმცირესობების უფლებების დაცვის მიმართულებითაა მზად (40%), ხოლო 46%-ის აზრით, საქართველო, ამ მხრივ, მზად არაა. დაახლოებით 34% ფიქრობს, რომ ქვეყანა მზადაა ადამიანის უფლებების დაცვის და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების კუთხით, 54%-ს კი მიაჩნია, რომ საქართველო უფრო არაა მზად, ან ნამდვილად არაა მზად ამ მიმართულებით.
- საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას ხელს უშლის ტერიტორიული კონფლიქტები (37%) და პოლიტიკური არასტაბილურობა (37%). მიუხედავად იმისა, რომ, მთლიანობაში, ამ კითხვაზე პასუხები მეტ-ნაკლებად კვლევის წინა ტალღების მსგავსია,

მათი წილი, ვინც ევროკავშირის წევრობის შემაფერხებელ ფაქტორად პოლიტიკური არასტაბილურობა დაასახელა, 2019 წელთან შედარებით 12 პროცენტული პუნქტით მეტია.

- მოსახლეობა მოელის, რომ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ გაუმჯობესდება საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო. 67% ფიქრობს, რომ საქართველოში მნიშვნელოვნად ან გარკვეულწილად გაიზრდება განათლების ხარისხი. ამას მოსდევს არსებული სამუშაო ადგილების ოდენობა (74%) და პენსიები (71%).
- უმრავლესობა (68%) ფიქრობს, რომ ევროკავშირში გაერთიანება ძალიან ნეგატიურად, ან უფრო ნეგატიურად, ვიდრე პოზიტიურად იმოქმედებს საქართველოს ურთიერთობებზე რუსეთთან. 9% ელის ძალიან დადებით, ან გარკვეულწილად დადებით ეფექტს.

შესავალი

1990-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ევროკავშირი ქვეყანის განვითარებაში მრავალმხრივ იყო ჩართული. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა მას შემდეგ ვითარდება, შესაბამისად, საჭიროა, იმის ცოდნა თუ რას ფიქრობენ ქართველები ევროკავშირზე და რა იციან ორგანიზაციის პოლიტიკის შესახებ. აქედან გამომდინარე, საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების და მათი სამომავლო პოტენციალის უკეთ გასააზრებლად, უნდა შეფასდეს საზოგადოების ცოდნა და დამოკიდებულებები ევროკავშირის შესახებ.

სხვადასხვა სავაჭრო და პოლიტიკური შეთანხმების ხელმოწერის შედეგად (როგორებიცაა სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადოებული სისტემა (GSP), პრეფერენციების განახლებული განზოგადებული სისტემა (GSP+), პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA), რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყნის ინტეგრაციას ევროკავშირის ერთიან ბაზრებზე) საქართველო ნელ-ნელა დაუახლოვდა ევროკავშირს. 2006 წლიდან საქართველო ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ნაწილია. ევროკავშირსა და საქართველოს ორმხრივი ურთიერთობები განვითარდა და 2010-იან წლებში საქართველომ ხელი მოაწერა შეთანხმებას ღრმა და ყოვლიმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA), ასევე მიენიჭა უვიზო მიმოსვლის უფლება.¹

ევროკავშირის მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკაშიც. ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, ევროკავშირის ფინანსურმა დახმარებამ ორ მილიარდ ევროს გადააჭარბა.² 2021 წლისთვის, ევროკავშირის ქვეყნები საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან და მათ ჩაანაცვლეს ტრადიციული სავაჭრო პარტნიორები, მაგალითად, თურქეთი და რუსეთი.³ 2010 წლიდან მოყოლებული, ევროკავშირის ქვეყნები საქართველოს ეკონომიკაში ძირითადი ინვესტორები არიან. 2021 წელს ევროკავშირის ქვეყნების პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 4.5 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც ორჯერ მეტია ვიდრე აზერბაიჯანის ინვესტიციები, 2.5-ჯერ მეტია, ვიდრე გაერთიანებული სამეფოს ინვესტიციები,

¹ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, “საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია”

([² საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, “ევროკავშირის დახმარების მიმოხილვა”](https://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98.aspx?lang=en-US, 2019).</p></div><div data-bbox=)

([³ ევროპის კომისია, “საქართველო - ვაჭრობა” \(<https://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/georgia/>, April 2021\).](https://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/evrokavshiris-dakhmarebis-mimokhilva.aspx, 2021).</p></div><div data-bbox=)

3.5-ჯერ მეტი ვიდრე - თურქეთის და 5-ჯერ მეტი, ვიდრე შეერთებული შტატების.⁴ 2019 წელს, საქართველოში შემოსული ტურისტების დაახლოებით 7% ევროკავშირის მოქალაქე იყო, რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ტურიზმის მზარდ ინდუსტრიაში.⁵

ეკონომიკის გარდა, ევროკავშირი საქართველოს ეხმარება უსაფრთხოებისა და ინსტიტუტური განვითარების უზრუნველყოფაში. 2008 წლის შემდეგ, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) იცავს მშვიდობას და სტაბილურობას საქართველოს თვითგამოცხდებული რესპუბლიკების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ. ბოლო პერიოდში, ევროკავშირმა წამყვანი როლი ითამაშა პოლიტიკური კრიზისის მედიაციასა საქართველოს ძირითად პოლიტიკურ პარტიებს შორის პოლარიზაციის შემცირებაში.⁶

ევროკავშირის ყოვლისმომცველი წარმომადგენლობის გათვალისწინებით, ქართველების მხარდაჭერა ევროკავშირის მიმართ მაღალი რჩება. ბოლო ცამეტი წლის განმავლობაში, ანუ იმ პერიოდში, როდესაც ევროპის ფონდი საქართველოში ევროკავშირის შესახებ საზოგადოებრივ აზრს აკვირდება, ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა ევროკავშირის მიმართ დადებით დამოკიდებულებებს ამჟღავნებს, ხოლო უმრავლესობა მხარს უჭერს ევროკავშირში გაერთიანებას.

აღსანიშნავია, რომ იმავე მოსაზრებებს საქართველოს პოლიტიკური კლასის დიდი ნაწილიც იზიარებს,⁷ მათ შორის, მმართველი პოლიტიკური პარტია და ძირითადი ოპოზიციური ჯგუფები.⁸ ეს ენთუზიაზმი აისახა საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ უკანასკნელ ცვლილებებშიც. განახლებული დოკუმენტი შეიცავს გარდამავალ დებულებას, რომელიც კონსტიტუციურ ორგანოებს ავალდებულებს „მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.“⁹ ამასთან, საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ 2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანას აპირებს,¹⁰ 2030 წელს კი კანდიდატის სტატუსის მიღებას.¹¹

ევროპის ფონდი აქტიურად მუშაობს სამოქალაქო ჩართულობის მხარდასაჭერად საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში. ფონდი ფასილიტაციას უწევს ასოცირების შეთანხმების განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა

⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, “პირდაპირი უცხოური ინვესტიციები” (https://geostat.ge/media/38754/FDI_Geo_countries.xlsx, 2021).

⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, “უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა” (<https://geostat.ge/media/38256/moqalaqebis-qveyana.xlsx>, 2021).

⁶ ევროპის კომისია. 2017. ‘კომისიონერ ავრამოპულოსის განცხადება კომისიის მიერ საქართველოსთვის ვიზა ლიბერალიზაციის მინიჭების შესახებ’, ევროპის კომისია - ევროპის კომისია. 27 თებერვალი 2017. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/STATEMENT_17_363.

⁷ ლევან კახიშვილი, “საქართველოს საგარეო პოლიტიკის გააზრების ორგანომილემიანი ანალიტიკური ჩარჩო: რა გავლენა აქვს პარტიებს შორის კონკურენციას საგარეო პოლიტიკის ანალიზზე”, *Post-Soviet Affairs* 37, no. 2 (მარტი 2021): 174–97, <https://doi.org/10.1080/1060586X.2020.1869455>.

⁸ Kieskompas, “საგარეო პოლიტიკა” (<https://kompasi.partiebi.ge/ka/results/compareJustificationPage>, 2020).

⁹ “საქართველოს კონსტიტუცია,” აგვისტო 1995.

¹⁰ სტივენ ვან ჰეკე და თეონა ლავრელაშვილი, “საქართველო მზადაა 2024 წელს წევრობაზე განაცხადის გაკეთებისთვის - ევროკავშირიც მზადაა?”, *Www.euractiv.com*, იანვარი 2021.

¹¹ დავით ზალკალიანი, “2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთება და 2030 წელს კანდიდატის სტატუსის მიღება საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია - ამ თემაზე ყურადღება გავამახვილე @MFAgovge-ს 10-წლიანი სამოქმედო გეგმის პრეზენტაციაზე. ვისაუბრე სასარგებლო მექანიზმებზე ამ მიმართულებით - #AA, #EaP, #A3 <https://t.co/2V7kI6q7Yn>,” ტვიტი, @DZalkaliani, აგვისტო 2021.

დაინტერესებულ მხარეს შორის კონსენსუსის უზრუნველყოფას, რათა ხელი შეუწყოს საქართველოს დაახლოვებას ევროპულ სტანდარტებთან, პრაქტიკებთან და ღირებულებებთან. ფონდმა განახორციელა არაერთი ღონისძიება, რომელთა მიზანიც იყო ასოცირების ხელშეკრულების/DCFTA-ის რეფორმების გატარებისას ფართო სამოქალაქო თანამონაწილეობის უზრუნველყოფა. ევროპის ფონდმა ასევე წარმართა პოლიტიკის შესახებ დიალოგი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და საჯარო სექტორის წარმომადგენლებს შორის. ფონდის ბოლო ათი წლის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო სურსათის უვნებლობის სისტემის შექმნა და თანდათანობით გაძლიერება, რამაც დიდწილად გააუმჯობესა ქვეყანაში სურსათის უსაფრთხოება და მომხმარებლის დაცვის სტანდარტები და პრაქტიკა. შედეგად, საქართველოს მთავრობამ განიხილა და რეაგირება მოახდინა სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს ასოციაციების ასამდე პოლიტიკის რეკომენდაციაზე, რამაც გააუმჯობესა კანონმდებლობა და პრაქტიკა ამ სფეროში.

2009 წლიდან მოყოლებული, ევროპის ფონდი ასევე ატარებს ევროკავშირის შესახებ საქართველოში საზოგადოებრივი აზრის გრძელვადიან და ყოვლისმომცველ კვლევას. 2009 წლიდან დღემდე, ფონდმა საზოგადოებრივი აზრის მასშტაბური გამოკითხვის შვიდი ტალღა ჩაატარა, რომლებიც ევროკავშირი-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების შესახებ, მათ შორის, ევროკავშირის წარმომადგენლობის, ევროკავშირის წევრობის მხარდაჭერის და ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების სარგებლის აღქმების მრავალ სხვადასხვა საკითხს სწავლობდა. წინამდებარე ანგარიში აჯამებს აღნიშნული გამოკითხვის, „ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში,“ მიგნებებს. ანგარიშს სამი მიზანი აქვს. პირველ რიგში, ის მიმოიხილავს 2021 წლის გამოკითხვის ძირითად შედეგებს. ამასთან, სადაც შესაძლებელია, გრძელვადიანი ტენდენციების გამოსაკვეთად მონაცემები წინა ტალღისააა შედარებული, დაბოლოს, ტექსტში გაანალიზებულია ის სოციო-დემოგრაფიული და დამოკიდებულებითი ფაქტორები, რომლებიც მოსახლეობის ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებებთან არის დაკავშირებული და არსებული ტენდენციების შესაძლო ახსნებს გვთავაზობს.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგნაირია: თავდაპირველად, მოკლედაა შეჯამებული კვლევის მეთოდოლოგია. მომდევნო ნაწილში გაანალიზებულია ევროკავშირის აღქმის შესახებ გამოკითხვის შედეგები. ცალკეულ ქვეთავებში წარმოდგენილია მოსახლეობის დამოკიდებულება ევროკავშირის წარმომადგენლობის შესახებ; ორგანიზაციისა და მისი პოლიტიკის შესახებ ცოდნა; და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივების შეფასება. ანგარიში სრულდება დასკვნებით.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ტექსტი ეფუძნება „ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში“ გამოკითხვის მეშვიდე ტალღას. კვლევის დიზაინი, ისევე, როგორც ამ ტალღისას გამოყენებული კვლევის ინსტრუმენტი წინა კვლევების მსგავსია. გამოკითხვის დიზაინი წარმოადგენს სტრატეგიცირებულ მრავალსაფეხურიან კლასტერულ შერჩევას და უზრუნველყოფს, მონაცემების წარმომადგენლობითობას თბილისის, სხვა ქალაქების, სოფლის ტიპის დასახლებების, ძირითადად ეთნიკური სომხებითა და აზერბაიჯანლებით დასახლებული არეალების მოსახლეობისთვის.

ინტერვიუები ჩატარდა კომპიუტერის მეშვეობით პირისპირ გამოკითხვის (CAPI) მეთოდით 2021 წლის 8 აპრილიდან 30 მაისამდე პერიოდში. ჯამში, მოგროვდა 2,335 სრული ინტერვიუ. გამოპასუხების მაჩვენებელი იყო 30%. ინტერვიუები ჩატარდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

საქართველოს დემოგრაფიული სტრუქტურის ასახვის მიზნით, მონაცემები შეწონილია 2014 წლის ეროვნული აღწერის შედეგების მიხედვით. მთლიანობაში, საშუალო ცდომილების ზღვარი 2.2%-ია. ცდომილების ზღვარი პროპორციების მიხედვით მოცემულია პირველ ცხრილში.

ცხრილი 1: ცდომილების ზღვრის განაწილება 95%-იანი სანდოობის ინტერვალისთვის ცალკეული პროპორციების მიხედვით


პროპორციები	მოსალოდნელი ცდომილების ზღვარი
95% და 5%-ის ახლოს შეფასებისთვის	0.71%
90% და 10%-ის ახლოს შეფასებისთვის	1.79%
75% და 25%-ის ახლოს შეფასებისთვის	2.58%
60% და 40%-ის ახლოს შეფასებისთვის	3.32%
50%-ის ახლოს შეფასებისთვის	3.71%

ანგარიშში გამოყენებულია მონაცემთა ანალიზის აღწერითი და ახსნითი მეთოდები. აღწერითი ანალიზი მოიცავს კროსტაბულაციებსა და სიხშირეებს. ასოციაციები ცვლადებს შორის, რომლებიც ინტერესის სფეროს წარმოადგენს, იდენტიფიცირდება შესაბამისი რეგრესიული მოდელების მეშვეობით. ამ მოდელებში ამხსნელ ცვლადებად გამოყენებულია ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლები, როგორებიცაა რესპონდენტის სქესი, ასაკი, გაცხადებული ეთნიკური იდენტობა, განათლება, დასახლების ტიპი, რელიგიურ მსახურებაზე დასწრების სიხშირე, საცხოვრებელი ადგილი და ეკონომიკური მდგომარეობის აღქმა. რესპონდენტის ასაკის კოდირება სამ ჯგუფად მოხდა (35 წელზე ახალგაზრდა, 35-54 და 54 წელზე უფროსი). განათლება სამ კატეგორიად დაჯგუფდა: საშუალო ან უფრო დაბალი, პროფესიული და სრული და არასრული უმაღლესი განათლება. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში შერჩევის სიჭარბის გამო, სტატისტიკური მოდელირების გზით, გამოვლინდა განსხვავებები ეთნიკურად სომეხ, აზერბაიჯანელ, ქართველ და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს შორის. რესპონდენტები, რომლებიც განეკუთვნებოდნენ რუსულ, ოსურ, ქურთულ/იეზიდურ და უმცირესობათა სხვა თემებს, „სხვა“ კატეგორიაში გაერთიანდნენ.

კვლევის შედეგები ევროკავშირის შესახებ შეხედულებები

ქართველების უმრავლესობას ევროკავშირზე დადებითი წარმოდგენა აქვს. საერთო ჯამში, ქართველების 46%-ს აქვს ძალიან დადებითი (16%) ან საკმაოდ დადებითი (30%) დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ. თითქმის იმავე რაოდენობას (43%) ნეიტრალური დამოკიდებულება, ხოლო უმცირესობას (7%) აქვს ან ძალიან უარყოფითი, ან საკმაოდ უარყოფითი შეხედულება აქვს ევროკავშირზე.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირისადმი დამოკიდებულება მაღალ კორელაციაშია რესპონდენტების შეხედულებებთან ნატოსთან (NATO) დაკავშირებით.¹² ევროკავშირის მსგავსად, უფრო მეტ ქართველს (45%) დადებითი წარმოდგენა აქვს ნატოზე, ვიდრე უარყოფითი (8%). 43%-ს აქვს ნეიტრალური შეხედულება ნატოსთან დაკავშირებით.



დიაგრამა 1: საქართველოში ხშირად საუბრობენ ევროკავშირის შესახებ. ზოგადად, როგორი წარმოდგენა გაქვთ ევროკავშირზე? ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით (%)


რესპონდენტების სქესი, ასაკი, ეთნიკური იდენტობა და საცხოვრებელი ადგილი ევროკავშირისადმი დადებითი ან უარყოფით დამოკიდებულების წინასწარმეტყველების შესაძლებლობას იძლევა.¹³ გამოკითხული ქალების ნახევარს და კაცების 43%-ს ევროკავშირის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს (დიაგრამა 1). აღსანიშნავია, რომ უფრო მეტი

¹² 68% სპირმანის კორელაციის კოეფიციენტის მიხედვით

¹³ განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიური რეგრესიული მოდელის საშუალებით, რომელიც ევროკავშირის შესახებ რესპონდენტების ზოგად აღქმას პროგნოზირებს. მოდელი აკონტროლებდა საერთო დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორებიცაა რესპონდენტის სქესი, ასაკი, ეთნიკური იდენტობა, განათლება, დასახლების ტიპი, საეკლესიო მსახურებზე დასწრება, საცხოვრებელი ადგილი და აღქმული ეკონომიკური მდგომარეობა. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კატეგორიები შემდეგნაირად დაჯგუფდა: ვარიანტები „ძალიან დადებითი“ და „საკმაოდ დადებითი“ დაჯგუფდა „დადებითად“; „ძალიან უარყოფითი“ და „საკმაოდ უარყოფითი“ გაერთიანდა „უარყოფითად“; ხოლო „ნეიტრალური“ და „არ ვიცი“ ერთად დაჯგუფდა.

მამაკაცი (10%) არის ევროკავშირისადმი უარყოფითად განწყობილი, ვიდრე ქალი (5%). ყველაზე ახალგაზრდა (18-34) და ხანდაზმული (55+) ასაკობრივი ჯგუფის თითქმის ნახევარს აქვს პოზიტიური შეხედულებები ევროკავშირზე. თბილისის მოსახლეობის 53% ევროკავშირს დადებითად აღიქვამს. სხვა ქალაქების მცხოვრებთა უფრო მცირე რაოდენობას (46%) აქვს მსგავსი აზრი. სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 42% დადებითად ფიქრობს ევროკავშირზე.

ეთნიკური იდენტობა ევროკავშირისადმი დამოკიდებულებას კარგად პროგნოზირებს. ეთნიკურად ქართველებს (6%) და აზერბაიჯანელებს (4%) ყველაზე ნაკლებად აქვთ ნეგატიური დამოკიდებულება ორგანიზაციის მიმართ, სომხებისგან (19%) და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისგან (24%) განსხვავებით. ეთნიკური ქართველების უმრავლესობა (48%) დადებითად აღიქვამს ევროკავშირს, ხოლო სომხების უმრავლესობას (45%) აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება. აზერბაიჯანელების უმრავლესობამ (63%) და სხვა ეთნიკურმა ჯგუფებმა (58%) ევროკავშირისადმი დამოკიდებულების შესახებ შეკითხვას ნეიტრალურად ან „არ ვიცი“ უპასუხეს.




დიაგრამა 2: გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ენდობით ან არ ენდობით ... (%)

ქართველების ნახევარი სრულად (8%) ან ნაწილობრივ (42%) ენდობა ევროკავშირს (დიაგრამა 2). დაახლოებით 32%-ს აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება; მხოლოდ 13% სრულად ან ნაწილობრივ არ ენდობა ევროკავშირს. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირისადმი ნდობა კორელაციაშია ორგანიზაციის ზოგად აღქმასთან¹⁴.

ევროკავშირი საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე სანდო ინსტიტუტად აღიქმება. ნდობის მაჩვენებლით (50%), ანუ „სრული ნდობის“ და „ნდობის“ პასუხების ჯამით, ევროკავშირი მხოლოდ ჯარს (77%) და რელიგიურ ინსტიტუტებს (70%) ჩამორჩება, რომლებსაც საქართველოში ტრადიციულად, ყველაზე მეტად ენდობიან.

ქვეყნის მოსახლეობა ევროკავშირს უფრო ენდობა, ვიდრე ადგილობრივი სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების უმრავლესობას. ნდობის ჯამური მაჩვენებლით ევროკავშირი უფრო მაღლა დგას, ვიდრე პოლიცია (45%), ომბუდსმენი (33%), ადგილობრივი მთავრობა (31%), პრემიერ-მინისტრი (24%), პარლამენტი (22%) და პრეზიდენტი (21%).

¹⁴ 55% სპირმანის კორელაციის კოეფიციენტის მიხედვით




დიაგრამა 3: გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ენდობით ან არ ენდობით ევროკავშირს... (%)

მნიშვნელოვანია, რომ 2015 წელთან შედარებით, უფრო მეტი ადამიანი ენდობა ევროკავშირს. ორგანიზაციის მიმართ ნდობის მაჩვენებელი გაიზარდა 2015 წელს არსებული 34%-დან 51%-მდე (იხ. დიაგრამა 3). მიუხედავად იმისა, რომ ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე პირების წილი არ შეცვლილა, ქვეყნის მოსახლეობის წილი, რომელმაც ნდობასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე პასუხი არ იცის, 2015 წელს არსებული 14%-დან 5%-მდე შემცირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობამ ორგანიზაციასთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულება ჩამოიყალიბა. ასევე, შემცირდა უარყოფითი ნდობის მაჩვენებელი, 2015 წელს 20% -დან 2021 წელს 13% -მდე.

რესპონდენტების სქესი, ეთნიკური იდენტობა, რელიგიურ მსახურებებზე დასწრება და აღქმული ეკონომიკური სტატუსი ევროკავშირის მიმართ მათი ნდობის ხარისხის პროგნოზირების საშუალებას იძლევა¹⁵. მამაკაცების უმრავლესობა და ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი ენდობა ევროკავშირს. ქალები ოდნავ უფრო მეტად ავლენენ ამბივალენტური დამოკიდებულებებს (დიაგრამა 4).

ეთნიკური ქართველების 52% სრულად ენდობა ან ენდობა ევროკავშირს, შემდეგ მოდის ეთნიკური აზერბაიჯანელები (48%), სომხები (38%) და სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები (21%). ამ უკანასკნელის წარმომადგენლები უფრო მეტად არ ენდობიან ორგანიზაციას (46%), ვიდრე ეთნიკური სომხები, აზერბაიჯანელები ან ქართველები.

¹⁵ განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიური რეგრესიული მოდელის გამოყენებით, რომელიც პროგნოზირებს რესპონდენტების ნდობას ევროკავშირის მიმართ. შედეგების ინტერპრეტაციის გამარტივებისათვის პასუხები დაჯგუფდა შემდეგნაირად: „სრულად ვენდობი“ და ვენდობი დაჯგუფდა „ვენდობის“ კატეგორიად, „საერთოდ არ ვენდობი“ და „არ ვენდობი“ კოდირებული იქნა როგორც „არ ვენდობი“; „ნეიტრალური“ და „არ ვიცი“ დაჯგუფდა ერთად. ამხსნელ ცვლადებად გამოყენებულია სტანდარტული დემოგრაფიული მახასიათებლები.




დიაგრამა 4: გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ენდობით ან არ ენდობით ევროკავშირს... ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით (%)

ევროკავშირისადმი ნდობა ასევე კავშირშია რელიგიურ მსახურებაზე დასწრების სიხშირესთან. ისინი, ვინც თვეში ერთხელ ან უფრო ხშირად დადიან რელიგიურ მსახურებაზე (54%), ისევე როგორც ისინი, ვინც ამას არასოდეს აკეთებენ (59%), უფრო მეტად ენდობიან ევროკავშირს, ვიდრე რესპონდენტები, რომლებიც ხანდახან დადიან ეკლესიებში, მეჩეთებსა თუ ტაძრებში.

საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც საკუთარ თავს, ეკონომიკურ მდგომარეობის კუთხით, შედარებით შეძლებულად აღიქვამენ, უფრო მეტად ენდობიან ევროკავშირს (58%), ვიდრე ისინი ვისაც შემოსავალი დიდი გაჭირვებით ჰყოფნის (43%).


რესპონდენტებს სთხოვეს, გამოეთქვათ აზრი, თუ რას წარმოადგენს ევროკავშირი. დაახლოებით 34% ამბობს, რომ უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირი არის საერთაშორისო ორგანიზაცია (დიაგრამა 5). მოსახლეობის მეოთხედზე ოდნავ ნაკლებისთვის (23%) ევროკავშირი პოლიტიკური გაერთიანებაა, ხოლო 22%-ისთვის ევროკავშირი ეკონომიკური კავშირია. ნაკლები გამოკითხული ფიქრობს, რომ ევროკავშირი არის სამხედრო ბლოკი (4%), კულტურული გაერთიანება (2%) ან არასამთავრობო ორგანიზაცია (1%). ქართულენოვან თემებში მცხოვრებმა რესპონდენტებმა უფრო სავარაუდოა, რომ იცოდნენ თუ რას წარმოადგენს ევროკავშირი. რესპონდენტების მხოლოდ 12% ამბობს, რომ არ იცის ან პასუხის გაცემისგან იკავებს თავს. ამის საპირისპიროდ, გამოკითხული ეთნიკური უმცირესობების თითქმის ნახევარი (42%) დასმულ კითხვას ვერ პასუხობს.



დიაგრამა 5: თქვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, რა არის ევროკავშირი? (%)

ევროკავშირისადმი დამოკიდებულების შემდგომი შეფასების მიზნით, რესპონდენტებს წარუდგინეს დებულებები, რომლებიც ორგანიზაციისადმი ზოგად შეხედულებებს აღწერდა (დიაგრამა 6), ეს დებულებები ეხებოდა ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ როლებს, წევრობის კრიტერიუმებს და იდენტობას.

რესპონდენტების 67% აღიარებს ევროკავშირის როლს ევროპაში მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარებაში. უმრავლესობას ასევე სჯერა, რომ ორგანიზაცია მზარს უჭერს ეკონომიკის (73%) და დემოკრატიის (73%) განვითარებას არაწევრ სახელმწიფოებში. ქართველების აზრი ორად იყოფა ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებით: 54% მიიჩნევს, რომ ორგანიზაცია მზად არის ახალი წევრების მისაღებად, ხოლო 44% ამას არ ეთანხმება.




დიაგრამა 6: რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ დებულებებს? ევროკავშირი ... (%)

უფრო მეტი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ევროკავშირი მხოლოდ იმპერიის ახალი ფორმაა: 43% არ ეთანხმება რომ ევროკავშირი იმპერიაა, ხოლო 34% ეთანხმება ამ განცხადებას. საქართველოში გავრცელებული ანტიდასავლური და, განსაკუთრებით, ევროკავშირის საწინააღმდეგო ნარატივების ავტორები ხშირად ამტკიცებენ, რომ ევროკავშირი თავს ახვევს საქართველოს ლიბერალურ ღირებულებებს, რომლებიც უცხოა ქვეყნის უპირატესად

სოციალურად კონსერვატიული მოსახლეობისთვის.¹⁶ ასეთი ბრალდებები ხაზს უსვამენ, რომ დასავლური მოდერნიზაცია მიზნად ისახავს მართლმადიდებლურ ქრისტიანობაზე დაფუძნებული ქართული ტრადიციების გაქრობას.¹⁷

მოსახლეობის ნახევარზე მეტი, დაახლოებით 54%, სრულად ან უმეტესად არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ევროკავშირი ქვეყნის ეროვნული ტრადიციებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. თუმცა, 36% მაინც ეთანხმება ამ დებულებას.




დიაგრამა 7: რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს? (%)

საინტერესოა, რომ პირველი შემთხვევაა, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქვეყნის ტრადიციებს (დიაგრამა 7). 2015 წელთან შედარებით, როდესაც მხოლოდ 34% სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმებოდა აღნიშნულ მოსაზრებას, 2021 წლის ტალღაში, იმ ადამიანების წილი, ვინც ევროკავშირის ქართული ტრადიციებისათვის საფრთხედ არ აღიქვამს, 20 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

¹⁶ ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში „მითები ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ (თბილისი, საქართველო, 2014)

¹⁷ ნინო ლეჟავა, „დაუსრულებელი მცდელობა: საქართველო ევროპაში საკუთარი ალაგის ძიებაში“, კარგები ევროპა (<https://carnegieeurope.eu/2021/04/06/georgia-s-unfinished-search-for-its-place-in-europe-pub-84253>, აპრილი 2021).




დიაგრამა 8 რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს? ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით (%)

ასაკი, ეთნიკური კუთვნილება, განათლება, რელიგიურ მსახურებებზე დასწრება და ეკონომიკური კეთილდღეობის დონე ევროკავშირის ქართული კულტურისთვის საფრთხედ აღქმის პროგნოზირების შესაძლებლობას იძლევა (დიაგრამა 8). ახალგაზრდა რესპონდენტები, ეთნიკური ქართველები და უმაღლესი განათლების მქონე პირები უფრო მეტად არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ევროკავშირი საფრთხეა ქართული ტრადიციებისთვის. ამავე მოსაზრებას იზიარებენ ისინიც, რომლებიც არასოდეს ესწრებიან რელიგიურ მსახურებებს და შედარებით უფრო მაღალი ეკონომიკური სტატუსი აქვთ. ხანდაზმული რესპონდენტები, საშუალო ან პროფესიულ განათლების მქონეები, რესპონდენტები, რომლებიც ესწრებიან რელიგიურ მსახურებებს და ისინი, ვინც ეკონომიკური კეთილდღეობის ყველაზე დაბალ საფეხურზე არიან, უფრო მეტად ეთანხმებიან, რომ ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს.

ევროკავშირი საქართველოში ევროკავშირთან ურთიერთობების აღქმა

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობათა ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასებისას, უმრავლესობა (56%) მიიჩნევს, რომ ურთიერთობები ნეიტრალურია. 13%-მა არ იცის კითხვაზე პასუხი, მცირე ნაწილი (4%) ფიქრობს, რომ ურთიერთობა ან ძალიან ცუდი ან საკმაოდ ცუდია. 28 %-ს მიაჩნია, რომ ურთიერთობები ძალიან კარგი ან საკმაოდ კარგია.

რესპონდენტებს ასევე ჰკითხეს, მათი აზრით, როგორი დამოკიდებულება აქვთ ევროპელებს ქართველების მიმართ - დადებითი, უარყოფითი თუ ნეიტრალური. მხოლოდ 3% თვლის, რომ ევროპელებმა არაფერი იციან საქართველოს შესახებ. 28%-ს მიაჩნია, რომ ევროპელებს ქართველებზე დადებითი წარმოდგენა აქვთ, ხოლო 7%-ის აზრით, ევროპელებს საქართველოს მოქალაქეებზე უარყოფითი შეხედულება აქვთ. რესპონდენტების უმრავლესობა ამბობს, რომ ევროპელებს აქვთ ნეიტრალური დამოკიდებულება (40%), ან არ იციან ამ კითხვაზე პასუხი (22%).



დიაგრამა 9: თქვენი აზრით, ჩამოთვლილი ქვეყნებიდან და გაერთიანებებიდან, რომელთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო ... თანამშრომლობა? (%) არა უმეტეს სამი პასუხი


ევროკავშირისადმი საქართველოს მოსახლეობის ცალსახად დადებითი დამოკიდებულების გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ რესპონდენტები ევროკავშირს მიიჩნევენ ორგანიზაციად, რომელთანაც ქვეყანამ ყველაზე მეტად უნდა ითანამშრომლოს, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სფეროებში (დიაგრამა 9). თუკი პოლიტიკური თანამშრომლობის კუთხით რესპონდენტების 66%-სთვის ევროკავშირი შეერთებულ შტატებს უტოლდება, როდესაც ეკონომიკურ თანამშრომლობას ეხება საქმე, საქართველოსათვის ყველაზე სასურველ პარტნიორად ევროკავშირი მიიჩნევა (59%).

აღნიშნულ შედეგებს ადასტურებს მოსახლეობის შეხედულება იმასთან დაკავშირებით, თუ ვის შეუძლია ყველაზე მეტად დაეხმაროს საქართველოს: ევროკავშირს, შეერთებულ შტატებს თუ რუსეთს. ამ კითხვის პასუხად რესპონდენტები ყველაზე ხშირად ირჩევენ ევროკავშირს (43%) და შემდეგ - აშშ-ს (27%). მხოლოდ 13% ასახელებს რუსეთს, როგორც ქვეყანას, რომელსაც შეუძლია მხარი დაუჭიროს საქართველოს.

2019 წელთან შედარებით, იმ ადამიანების წილი, რომლებმაც საქართველოს საუკეთესო მხარდამჭერად ევროკავშირი დაასახელა, რვა პროცენტული პუნქტით გაიზარდა. შეერთებული შტატების წილი ოდნავ, ოთხი პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო რუსეთის წილი ხუთი პროცენტული პუნქტით შემცირდა.

ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარების აღქმა

მოსახლეობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ ევროკავშირის დახმარება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დაახლოებით 86%-ის აზრით, დახმარება მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანია. მხოლოდ 9% აღიქვამს ევროკავშირის დახმარებას უმნიშვნელოდ. აღსანიშნავია, რომ უმეტესობას ამ საკითხზე აზრი ჩამოყალიბებული ჰქონდა, რასაც ადასტურებს ამბივალენტური პასუხების მცირე წილი (5%).




დიაგრამა 10: რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს იმ მიზეზების შესახებ, თუ რატომ უწევს ევროკავშირი დახმარებას საქართველოს? ევროკავშირს... (%)

რესპონდენტებს სთხოვეს, შეეფასებინათ საქართველოში ევროკავშირის აქტიურობის მოტივები (დიაგრამა 10). უმრავლესობა (77%) მთლიანად ან ნაწილობრივ ეთანხმება დებულებას, რომ ევროკავშირი საქართველოს ეხმარება სამეზობლოში სტაბილურობის დამყარების მოტივით. დაახლოებით 62%-ის აზრით, ევროკავშირი ყველა განვითარებად ქვეყანას ეხმარება. დაახლოებით თანაბარ ნაწილს სჯერა ევროკავშირის უტილიტარული მიზნების, როგორცაა მიგრანტთა ნაკადის შემცირება ევროკავშირში (54%) და სტაბილური გარემოს უზრუნველყოფა ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებისათვის (53%). ნაკლები ადამიანი ფიქრობს, რომ დახმარების გაწევით ევროკავშირს სურს საქართველოსგან შექმნას სამაგალითო დემოკრატიის ქვეყანა (43%). რესპონდენტების 35%-ს მიაჩნია, რომ დახმარების გაწევით, ევროკავშირს სურს საქართველო ზეგავლენის ქვეშ მოაქციოს.

საქართველოს მოსახლეობას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ევროკავშირის მიერ გაწეულ დახმარებასთან დაკავშირებით. გამოკითხულების დაახლოებით მეხუთედმა არ იცის, რა ტიპის დახმარებას უწევს ევროკავშირი საქართველოს (22%), ან ფიქრობს, რომ ქვეყანას საერთოდ არ ეხმარება (7%). 43%-ის აზრით, ევროკავშირი საქართველოს ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს. დაახლოებით 22%-ის მიხედვით, ორგანიზაცია საქართველოს ეკონომიკაში ახორციელებს ინვესტიციებს, 12% ფიქრობს, რომ იგი ჩვენს ქვეყანას სოციალური პრობლემების მოგვარებაში ეხმარება, 11% ამბობს, რომ ევროკავშირი საქართველოს საჯარო ინსტიტუტების მშენებლობით უჭერს მხარს, ხოლო 10%-ის აზრით, ევროკავშირი ქვეყანას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში ეხმარება. ნაკლები რესპონდენტი ფიქრობს, რომ ევროკავშირი ეხმარება საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში (8%), შეიარაღებული ძალების აღჭურვაში (7%), რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებასა (6%) და მედიის განვითარებაში (3%)¹⁸.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელთან შედარებით, უფრო მეტმა არ იცის, თუ რა ტიპის დახმარებას უწევს ევროკავშირი საქართველოს (29%). მათი წილი, ვინც ამბობს, რომ ევროკავშირი ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს საქართველოს, ათი პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო ოთხი პროცენტით მეტი ფიქრობს, რომ ევროკავშირი ინვესტიციებს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკაში.

¹⁸ რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ 3 პასუხი



დიაგრამა 11: თქვენი აზრით, როგორც წესი, ვისთვის მოაქვს ყველაზე მეტი სარგებელი ევროკავშირის დახმარებას, რომელიც საქართველოსთვისაა გამოყოფილი?(%) არა უმეტეს ორი პასუხისა

მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარებით პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები სარგებლობენ (38%, დიაგრამა 11). დაახლოებით ერთი მეხუთედი (22%) ფიქრობს, რომ დახმარებით მთელი მოსახლეობა სარგებლობს, 19% მიიჩნევს რომ ევროკავშირის დახმარებით სარგებელს ჩვეულებრივ, ბიზნესმენები იღებენ, ხოლო 15%-სთვის სტუდენტები არიან ამგვარი დახმარების პირველადი ბენეფიციარები. რესპონდენტების 10%-ზე ნაკლები ევროკავშირის დახმარების მოსარგებლეებად არასამთავრობო ორგანიზაციებს, უმუშევრებს, კვალიფიციურ მუშახელს, პენსიონერებს, ევროპელ ჩინოვნიკებს, არაკვალიფიციურ მუშახელს და ჟურნალისტებს მიიჩნევს.

2019 წელთან შედარებით, უფრო მეტი ადამიანი ფიქრობს, რომ ევროკავშირის მიერ გაწეული დახმარება სარგებელს მოუტანს მთელს მოსახლეობას. ამ აზრის მომხრეების რაოდენობა გაიზარდა ხუთი პროცენტული პუნქტით, 17%-დან 22%-მდე. იგივე წილი ფიქრობს, რომ ევროკავშირის დახმარება სარგებელს მოუტანს პოლიტიკოსებსა და საჯარო მოხელეებს. მათი წილი, ვინც ფიქრობს, რომ ევროკავშირის დახმარება ბიზნესმენებისკენ არის მიმართული, შემცირდა 3%-ით ხოლო მათი რაოდენობა, რომელსაც მიაჩნია რომ ევროკავშირის დახმარება სარგებელს მოუტანს სტუდენტებს, რვა პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, ევროკავშირის დახმარება საჭიროებისამებრ არ იხარჯება. გამოკითხულთა 67% ამბობს, რომ თანხები მთლიანად ან ნაწილობრივ არამიზნობრივად დაიხარჯა. მხოლოდ 21% ფიქრობს, რომ ევროკავშირის დაფინანსება დანიშნულებისამებრ დაიხარჯა. დაახლოებით 12%-მა არ იცის ან ყოყმანობს კითხვაზე პასუხის გაცემაზე.

შეკითხვაზე, თუ რა იქნებოდა ევროკავშირისთვის საქართველოს დასახმარებლად საუკეთესო გზა, რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი (27%) ამბობს, რომ ორგანიზაციამ ინვესტიცია უნდა ჩადოს საქართველოს ეკონომიკაში. რესპონდენტების 27% თვლის, რომ ევროკავშირი ქვეყანას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში უნდა დაეხმაროს, ხოლო 11%-ს მიაჩნია, რომ ორგანიზაცია საქართველოს სოციალური პრობლემების მოგვარებაში უნდა გაუწიოს მხარდაჭერა. უფრო ნაკლები რესპონდენტი ფიქრობს, რომ ევროკავშირი უნდა დაეხმაროს საქართველოს ყველაზე ღარიბი მოქალაქეებისათვის ჰუმანიტარული დახმარების

გაცემით (8%), რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებით (6%) და მედიის განვითარებით (6%). გამოკითხულთა 5%-ზე ნაკლები დახმარების ყველაზე მოსალოდნელ ფორმებად ასახელებს ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებას, შეიარაღებული ძალების აღჭურვას, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და ქართული პროდუქციისათვის ევროკავშირის ბაზრების გახსნას. მხოლოდ 1% -ს მიაჩნია, რომ საქართველოს არ სჭირდება ევროკავშირის დახმარება.

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 43%) 2008 წლის აგვისტოს ომში ევროკავშირის როლს დადებითად აფასებს. 26% ფიქრობს, რომ ორგანიზაციამ კონფლიქტში ნეიტრალური როლი ითამაშა, ხოლო 14%-ის აზრით, მას ძირითადად უარყოფითი როლი ჰქონდა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) საქართველოში 2008 წლის სექტემბრიდან მოქმედებს¹⁹ და ხელს უწყობს სიტუაციის სტაბილიზაციას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებთან მიმდებარე ტერიტორიებზე. მიუხედავად ამისა, ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარმა (47%) არ იცის საქართველოში მისიის საქმიანობის შესახებ. მხოლოდ 20%-მა უპასუხა სწორად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ შეკითხვას და განაცხადა, რომ მისია კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში სიტუაციის სტაბილიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობს. დაახლოებით 19% -ს შეცდომით მიაჩნია, რომ მისია დემოკრატიული და საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული რეფორმების განხორციელებაზე მუშაობს, 8%-ის აზრით, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ხელს უწყობს რეგიონულ თანამშრომლობას სამხრეთ კავკასიაში, ხოლო 6%-მა თქვა, რომ მისიის მიზანია საქართველოსა და ევროკავშირის შორის კავშირების გაძლიერებას უმაღლესი განათლების სფეროში.


ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ოფიციალურად მოაწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას,²⁰ რომელიც 2016 წლის 1 ივლისს შევიდა ძალაში.²¹ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერიდან შვიდი წლის შემდეგ, უფრო ნაკლებმა ქართველმა იცის მისი არსებობის შესახებ. კითხვაზე, „გსმენიათ თუ არა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების შესახებ,“ მხოლოდ 39%-მა თქვა, რომ იცის ასეთის შესახებ. რესპონდენტების 55%-მა, ანუ საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტმა, არ იცის ასოცირების შეთანხმების შესახებ. დაახლოებით 6% ამბივალენტურია.

¹⁹ EUMM საქართველოში, „ჩვენი მანდატი“ (https://www.eumm.eu/en/about_eumm/mandate, 2021).

²⁰ Civil.Ge „საქართველო და ევროკავშირი ხელს აწერენ ასოცირების შესახებ შეთანხმებას“, ივნისი 2014

²¹ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, Pub. L. No. 480610000.03.030.016275, 200/42 (2014). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959>




დიაგრამა 12: გსმენიათ თუ არა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე? (%)

ასოცირების შესახებ შეთანხმების ცნობადობა 2015 წელთან შედარებით, ყველაზე დაბალ ნიშნულზე დგას. კვლევის 2015 წლის ტალღასთან შედარებით, მოსახლეობის წილი, ვინც იცის ხელშეკრულების შესახებ, შემცირდა 24 პროცენტული პუნქტით (დიაგრამა 12). აღსანიშნავია, რომ 2015 წლის შემდგომ ჩატარებული კვლევების შედეგები მიუთითებს ასოცირების შესახებ ცნობადობის დაღმავალ ტენდენციაზე.

ეთნიკურობა, განათლების დონე და ეკონომიკური კეთილდღეობა ასოცირების შეთანხმების შესახებ ინფორმირებულობის დონის პროგნოზირების საშუალებას იძლევა. ეთნიკურად ქართველები (43%), უმაღლესი განათლების მქონეები (60%) და ისინი, ვისი შემოსავალიც აღქმულია როგორც დამაკმაყოფილებელი ან საკმარისზე მეტი (49%), უფრო მეტად არიან ინფორმირებულები შეთანხმების შესახებ. ეთნიკურ უმცირესობებს, მათ შორის სომხებს (15%) და აზერბაიჯანელებს (6%), ასევე საშუალო ან დაბალი განათლების მქონე პირებს (25%), ნაკლებად აქვთ ინფორმაცია შეთანხმების შესახებ²².

მათ, ვინც განაცხადეს, რომ სმენიათ ასოცირების შეთანხმების შესახებ, ჰკითხეს დოკუმენტი სრულად არის ძალაში შესული თუ არა. გამოკითხულების უმრავლესობა (54%) ფიქრობს, რომ შეთანხმება მხოლოდ ნაწილობრივ არის ძალაში შესული; 17%-ს მიაჩნია, რომ შეთანხმება სრულად არის ძალაში, ხოლო 11% მიიჩნევს, რომ შეთანხმება ჯერ კიდევ არ არის მთლიანად ან ნაწილობრივ ძალაში შესული. მნიშვნელოვან უმცირესობას (18%) პასუხი არ აქვს აღნიშნულ კითხვაზე.

²² განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიური რეგრესიული მოდელის გამოყენებით, რომელიც პროგნოზირებს რესპონდენტების ინფორმირებულობას ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ. წინა მოდელების მსგავსად, ამხსნელ ცვლადებად გამოყენებულია სტანდარტული დემოგრაფიული მახასიათებლები




დიაგრამა 13: თქვენი აზრით, გაუმჯობესდება თუ არა მდგომარეობა შემდეგ სფეროებში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების შედეგად? (%)

რესპონდენტებს წარუდგინეს დებულებები, რომლებიც პოლიტიკის სხვადასხვა სფეროს აღწერს (დიაგრამა 13) და ჰკითხეს, გაუმჯობესდება თუ არა ასოცირების შეთანხმება საქართველოს პოზიციას ამ სფეროებში. აღსანიშნავია, რომ ისინი, რომლებმაც იცნან შეთანხმების შესახებ, ელიან, რომ ეს ხელს შეუწყობს სიტუაციის გაუმჯობესებას ყველა დასახელებულ პოლიტიკურ საკითხთან მიმართებით, მათ შორის გრძელვადიანი ვიზების მიღების პროცედურების გამარტივების, ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების, უმაღლესი და საშუალო განათლების ხარისხის, დასაქმების შესაძლებლობების შექმნის და ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფის კუთხით.

მოგზაურობა, მუშაობა და ემიგრაცია ევროკავშირში

ზოგადი დამოკიდებულება მოგზაურობის, სამუშაოს და ემიგრაციის მიმართ

მოსახლეობის მეოთხედზე მეტი განიხილავს საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლას. კითხვაზე, სურთ თუ არა უცხოეთში სამუშაოდ წასვლა, დაახლოებით 26% -მა დადებითად უპასუხა, 71% არ წავიდოდა ემიგრაციაში, ხოლო 2% არ იყო დარწმუნებული. აღსანიშნავია, რომ იმ მოსახლეობის წილი, რომლებიც საზღვარგარეთ სამუშაოდ აპირებენ წასვლას, სტაბილურია გასული ათწლეულის განმავლობაში და მერყეობს 26%-სა (2015 წელს) და 30%-ს შორის (2017 წელს).



დიაგრამა 14: ისურვებდით თუ არა სხვა ქვეყანაში სამუშაოდ წასვლას? („დიახ“ პასუხების %). დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით

რესპონდენტების სქესი, ასაკი და აღქმული ეკონომიკური მდგომარეობა ემიგრაციაში სამუშაოდ წასვლის სურვილის პროგნოზირების საშუალებას იძლევა (დიაგრამა 14). კითხვაზე, სურდათ თუ არა საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა, უფრო მეტმა მამაკაცმა (35%) უპასუხა დადებითად ვიდრე ქალმა (20%). ახალგაზრდა ქართველების თითქმის ნახევარი (18-დან 34 წლამდე) ფიქრობს სამუშაოდ ემიგრაციაში წასვლაზე (43%), ხოლო უფროსი ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლები - ნაკლებად. ემიგრაციაში წასვლას განიხილავს მათი 30%, ვინც საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს როგორც მძიმეს, განსხვავებით მათგან, ვისაც შემოსავალი გაჭირვებით ჰყოფნის (24%) და ვისაც საკმარისი ან საკმარისზე მეტი შემოსავალი აქვს (27%).

სამუშაოდ ემიგრაციაში წასვლის მსურველებს ჰკითხეს, რომელ ქვეყანაში წავიდოდნენ საცხოვრებლად. დაახლოებით მესამედი ირჩევს გერმანიას (33%), შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებს (17%), იტალიას (7%) და რუსეთს (5%). საერთო ჯამში, ემიგრაციაში წასვლის მსურველი გამოკითხულების უმრავლესობა დანიშნულების ადგილად ევროკავშირის წევრ ქვეყნებს (57%) ან ჩრდილოეთ ამერიკას (20%) ასახელებს.


ქართველების 24% საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლას განიხილავს. საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლის მსურველთა 28 % გერმანიაში წასვლას ამჯობინებს, 25% შეერთებულ შტატებს ირჩევს, ხოლო 20% - გაერთიანებულ სამეფოს. საერთო ჯამში, 45%-მა დაასახელა ევროკავშირის ესა თუ ის წევრი ქვეყანა, 25%-მა კი - ჩრდილოეთ ამერიკა, შემდეგ მოდის არა-ევროკავშირის წევრი ევროპული ქვეყნები (21%).

ქალაქში მცხოვრები, საშუალო ან უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები უფრო მეტი ენთუზიაზმით უყურებენ საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლას. საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა სურს 35 წლამდე ახალგაზრდების 52%-ს, 35-დან 54 წლამდე ასაკის - 20%-ს და 55 წლის და უფროსი ასაკის ქართველების მხოლოდ 6%-ს. სოფლად მცხოვრები ქართველების 14%-ისგან განსხვავებით, თბილისელების 37% და სხვა ქალაქების მაცხოვრებლების 28% აცხადებს, რომ საზღვარგარეთ წავიდოდნენ სასწავლებლად. უმაღლესი განათლების და საშუალო ან დაბალი განათლების მქონე პირების დაახლოებით თანაბარი წილი (36%, სავარაუდოდ, ამჟამინდელი უნივერსიტეტის სტუდენტები) განიხილავენ

სასწავლებლად ემიგრაციაში წასვლას, პროფესიული განათლების მქონე ქართველების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 13%-ია.

ქართველების ნაწილი გამოთქვამს სურვილს სამუდამოდ წავიდეს ემიგრაციაში. მოსახლეობის 13% ფიქრობს საქართველოს დატოვებას და სხვა ქვეყანაში მუდმივად საცხოვრებლად გადასვლას. აღსანიშნავია, რომ ემიგრაციაში წასვლის მსურველების წილი დროთა განმავლობაში დაბალი რჩება. პროპორცია ყველაზე მაღალი იყო 2019 წელს, როდესაც ქართველების 14% გამოთქვამდა სურვილს სამუდამოდ დაეტოვებინა ქვეყანა. 2011 წელს, მხოლოდ 7% განიხილავდა ამგვარი ნაბიჯის გადადგმას.

ქვეყნის სამუდამოდ დატოვების მსურველთა (13%) შორის უმრავლესობა (36%) სამუდამოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევს წასვლას; 12% განიხილავს ემიგრაციას გერმანიაში, შემდეგ მოდის ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნები - საფრანგეთი (8%) და იტალია (6%). საერთო ჯამში, უფრო მეტი ადამიანი ირჩევს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს (39%), ვიდრე ჩრდილო ამერიკის ქვეყნებს (38%), კერძოდ აშშ-სა და კანადას. კიდევ უფრო ნაკლები ადამიანი ირჩევს სხვა, არაევროკავშირის წევრ ევროპულ ქვეყნებს (10%) და რუსეთს (5%).



დიაგრამა 15: ისურვებდით თუ არა სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლას? (%). დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით

18-დან 34 წლამდე ახალგაზრდების თითქმის მეოთხედს (24%) სურს სამუდამოდ ემიგრაციაში წასვლა (დიაგრამა 5); 35-დან 54 წლამდე ასაკის ადამიანების დაახლოებით 13% გამოთქვამს ემიგრაციაში წასვლის სურვილს, ხოლო 54 წელზე უფროსი ასაკის ქართველების მხოლოდ 4% განიხილავს საქართველოს სამუდამოდ დატოვებას. უმაღლესი განათლების მქონე უფრო მეტი ქართველი (18%) სურს ემიგრაციაში მუდმივად წასვლა, ვიდრე დაბალი საფეხურის განათლების მქონეს. ეთნიკური აზერბაიჯანელები და ისინი, ვინც საკუთარ შინამეურნეობის შემოსავალს გაჭირვებით მიიჩნევენ, უფრო მეტად განიხილავენ ემიგრაციაში წასვლას, თუმცა ეს განსხვავებები საკმაოდ მცირეა.

ევროკავშირში ცხოვრების გამოცდილება

გამოკითხულთაგან მცირე რაოდენობას აქვს ევროკავშირში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრების გამოცდილება. დაახლოებით 6% აცხადებს, რომ 1993 წლიდან მოყოლებული, ევროკავშირის რომელიმე წევრ ქვეყანაში სულ მცირე 3 თვის განმავლობაში მაინც ცხოვრობდნენ. გამოკითხულების უმრავლესობა ასახელებს საბერძნეთს, გერმანიას, საფრანგეთს და იტალიას.


უვიზო მიმოსვლა ევროკავშირთან

2017 წლის 27 თებერვალს საქართველოს ევროკავშირისა და შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის რეჟიმი მიენიჭა.²³ შეთანხმება ძალაში შევიდა 2017 წლის 28 მარტს.²⁴ 2017 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში საქართველოს მოქალაქეებმა შენგენის ზონის საზღვრები დაახლოებით 1.1 მილიონჯერ გადაკვეთეს, ხოლო 0.5 მილიონი ქართველი ვიზიტორი პირველად გაემგზავრა შენგენის ქვეყნებში²⁵. გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დადებითად არის განწყობილი უვიზო მიმოსვლის რეჟიმისადმი. კითხვაზე, კმაყოფილები არიან თუ არა ევროკავშირის მიერ მინიჭებული ამ შესაძლებლობით, მოქალაქეთა 74%-მა უპასუხა, რომ მოხარულები არიან. დაახლოებით მეხუთედმა (18%) თქვა, რომ არ აქვთ რამე განსაკუთრებული ემოცია უვიზო მიმოსვლის რეჟიმთან დაკავშირებით. გამოკითხულების უმცირესობამ (4%) აღნიშნა, რომ არ არის კმაყოფილი შენგენის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმით. მხოლოდ 1%-ს არ სმენია უვიზო მიმოსვლის შესახებ.

²³ ევროკომისია, "კომისარ ავრამოპულოსის განცხადება საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებასთან დაკავშირებით", ტექსტი, ევროკომისია (https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/STATEMENT_17_363, თებერვალი 2017).

²⁴ RFE/RL "ქართველები ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლას ზეიმობენ" რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება (<https://www.rferl.org/a/georgia-eu-visa-free-travel-/28395173.html>, მარტი 2017).

²⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია : სტატისტიკური ინფორმაცია მიგრაციის შესახებ, 2020წ.



დიაგრამა 16: საქართველოსთვის ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მინიჭების შემდეგ, გიმოგზაურიათ თუ არა ევროკავშირის რომელიმე წევრ ქვეყანაში? (%). დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით

უვიზო რეჟიმის მიღების შემდეგ, ქართველების დაახლოებით 11%-მა შენგენის ქვეყნებში ერთხელ მაინც იმოგზაურა, ხოლო 86%-ს ამის შესაძლებლობა არ ჰქონია. გამოკითხვის 2019 წლის ტალღასთან შედარებით, შენგენის ქვეყნებში ნამყოფი ქართველების წილი გაიზარდა ხუთი პროცენტული პუნქტით, 6% -დან 11% -მდე.


რესპონდენტის ასაკი, ეთნიკური იდენტობა, განათლება და შინამეურნეობების აღქმული ეკონომიკური მდგომარეობა პროგნოზირებს, უმოგზაურიათ თუ არა უვიზო რეჟიმის მიღების შემდეგ შენგენის ქვეყნებში (დიაგრამა 16). ოცდათხუთმეტ წლამდე ახალგაზრდების დაახლოებით 18% გაემგზავრა ევროკავშირში/შენგენის ქვეყნებში, ეს მაჩვენებელი 11%-ია 35 – 54 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ხოლო 54 წელზე უფროსი ასაკის კატეგორიაში - 6%. უფრო მეტმა ეთნიკურმა ქართველმა (12%), ვიდრე სომეხმა (5%) ან აზერბაიჯანელმა (4%), გამოიყენა უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა. ასე მოიქცა უმაღლესი განათლების მქონეების დაახლოებით მეხუთედი და იმ რესპონდენტების დაახლოებით 16%, რომლებიც თავიანთი შინამეურნეობების შემოსავალს საკმარისად ან საკმარისზე მეტად მიიჩნევენ.

ცოდნა ევროკავშირისა და მისი პოლიტიკის შესახებ საქართველოში

ცოდნა ევროკავშირის შესახებ

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ცოდნის შესაფასებლად, რესპონდენტებს რამდენიმე მარტივი კითხვა დაუსვეს. თავდაპირველად რესპონდენტებს ჰკითხეს, რამდენი წევრი ქვეყანაა ევროკავშირში. თითქმის ნახევარმა, რომ არ იცოდა ან არ იყო დარწმუნებული (46%).

მხოლოდ 25%-მა აირჩია სწორი კატეგორია (21-დან 30-მდე). დანარჩენმა (29%) კითხვას არასწორად გასცა პასუხი.



დიაგრამა 17: არის /ქვეყანა/ ამჟამად ევროკავშირის წევრი? (%)

დამატებითი ქვეყნების ჩამონათვალიდან, რომლებიც გამოკითხულებს გადაეცათ, მათ უნდა დაესახელებინათ იყო თუ არა ესა თუ ის ქვეყანა ევროკავშირის წევრი (დიაგრამა 17). მოსახლეობის 83%-მა სწორად აღნიშნა, რომ საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. 72% -მა თქვა, რომ რუსეთი არ არის ევროკავშირის ნაწილი. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, მნიშვნელოვან ნაწილს გაუჭირდა კითხვებზე პასუხის გაცემა. დაახლოებით 32%-მა სწორად დაასახელა რუმინეთი ევროკავშირის წევრ ქვეყნად, ხოლო 22%-მა არასწორი პასუხი გასცა. გამოკითხულთა 28% სწორად აღნიშნა, რომ ნორვეგია არ არის ევროკავშირის წევრი, ოდნავ ნაკლებმა (23%) არასწორად ჩათვალა ქვეყანა ევროკავშირის ნაწილად. გამოკითხულთა 40%-მა სწორად დაასახელა მოლდოვა ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოდ და მხოლოდ 15 %-მა მიიჩნია ქვეყანა ევროკავშირის წევრად.

ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის პროცედურების ცოდნა

უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მინიჭების შემდეგ გაიზარდა საქართველოს მოქალაქეების მხრიდან მოგზაურობის წესების დარღვევის შემთხვევები²⁶. 2016 წლიდან 2019 წლამდე გაორმაგდა ევროკავშირში არალეგალურად მყოფი ქართველების რაოდენობა: ეს რიცხვი დაახლოებით 6 000-დან 12 000-მდე გაიზარდა²⁷, ხოლო საქართველოდან თავშესაფრის მაძიებლების განაცხადების რაოდენობა იმავე პერიოდში თითქმის გასამმაგდა და მიაღწია

²⁶Civil.Ge კითხვა -პასუხი: შეიძლება ევროკავშირმა საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი შეაჩეროს? Civil.Ge, ივნისი 2019

²⁷ ევროსტატი „მესამე ქვეყნის მოქალაქეები არალეგალურად იმყოფებოდნენ - წლიური მონაცემები (დამრგვალებული) [migr_eipr]” (<https://appsso.eurostat.ec.europa.eu/nui/show.do>, 2020).

ყველა დროის მაქსიმუმს - თითქმის 24 000-ს²⁸. ქართველმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაუყოვნებლივ აღიარეს პრობლემა და განაცხადეს, რომ მოგზაურობის წესების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს უვიზო მიმოსვლის რეჟიმის გაუქმება²⁹. შედეგად, ქვეყანამ მოგზაურობისათვის წესები გაამკაცრა, მათ შორის ქართველი და ევროკავშირის მესაზღვრეების მიერ გამგზავრების მსურველების საფუძვლიანი შემოწმებით საქართველოს აეროპორტებში³⁰.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ბევრს უვიზო მიმოსვლის წესების შესახებ მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. უვიზო მიმოსვლის წესების შესახებ ცოდნის შესაფასებლად, რესპონდენტებს სთხოვეს დაესახელებინათ ევროკავშირის/შენგენის ქვეყნების საზღვრის გადაკვეთის მოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობამ (75%) სწორად დაასახელა ბიომეტრიული პასპორტის ქონის აუცილებლობა, უფრო ნაკლებმა გაიხსენა სხვა საჭირო საბუთები, როგორებიცაა დასაბრუნებელი ბილეთი (31%), ფინანსური უზრუნველყოფის დადასტურება (26%), სამოგზაურო დაზღვევა (23%) და დანიშნულების ქვეყანაში საცხოვრებლის მისამართი (21%). მეხუთედზე მეტი (21%) ყოყმანობდა, ან არ იცოდა პასუხი.


ვინაიდან საქართველოს მოქალაქეები ვალდებული არიან ფლობდნენ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტს³¹, ამ ინფორმაციის საფუძველზე შედგა უვიზო მიმოსვლის წესების ცოდნის ინდექსი. ინდექსის საშუალო ქულა 1.75-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ საშუალოდ, რესპონდენტებმა შეძლეს, სწორად დაესახელებინათ მგზავრობისათვის საჭირო ორ ძირითად დოკუმენტზე ნაკლები. მხოლოდ 7%-მა შეძლო დაესახელებინა ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში შესასვლელად აუცილებელი ხუთივე საბუთი. ხუთმა პროცენტმა დაასახელა ოთხი დოკუმენტი, 19% -მა - სამი და 17% -მა ორი დოკუმენტი, ხოლო 30%-მა შეძლო მხოლოდ ერთი დოკუმენტის სწორად დასახელება. ოცდაათმა პროცენტმა ვერ დაასახელა ან არასწორად დაასახელა საჭირო დოკუმენტები.

²⁸ ევროსტატი, „თავშესაფარის მაძიებლების და პირველად თავშესაფრის მაძიებლების განცხადებები მოქალაქეობის, ასაკისა და სქესის მიხედვით - ყოველთვიური მონაცემები (დამრგვალებული) [Migr_asyappctzm]“ (<http://appsso.eurostat.ec.europa.eu/nui/show.do>, 2020).

²⁹ Schengenvisainfo.com, საქართველოს იუსტიციის მინისტრი აცხადებს, რომ ევროპასთან უვიზო რეჟიმი "სირთულეების წინაშე დგას", (<https://www.schengenvisainfo.com/news/georgian-minister-of-justice-claims-visa-free-regime-with-europe-is-facing-difficulties/>, აპრილი 2019).

³⁰ Agenda.ge, „საქართველოს პარლამენტმა ევროკავშირში მოგზაურობის შესახებ ახალი რეგულაციები დაამტკიცა“, *Agenda.ge* (<https://agenda.ge/en/news/2020/2710>, სექტემბერი 2020).

³¹ Agenda.ge, „საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირის/შენგენის შესასვლელად საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე შემოწმებას გაივლიან“, (<https://agenda.ge/en/news/2021/4> იანვარი 2021).



დიაგრამა 18: რომელი საბუთები დასჭირდება საქართველოს მოქალაქეს, რათა უვიზოდ იმგზავროს ევროპის ე.წ. შენგენის ზონის ქვეყნებში? ცოდნის ინდექსის პროგნოზირებული მაჩვენებელი ძირითადი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით. შეფასებები გამოთვლილია პუასონის რეგრესიული მოდელის მეშვეობით

მამაკაცებმა, ახალგაზრდებმა, სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებმა, უმაღლესი განათლების მქონე ქართველებმა და მათ, ვისაც შემოსავალი გაჭირვებით ჰყოფნით, სხვებზე მაღალი ქულა მიიღეს (დიაგრამა 18). ეთნიკურ აზერბაიჯანელებს, საშუალო ან დაბალი განათლების მქონე პირებს და მათ, ვინც თავს ეკონომიკურად ცუდ მდგომარეობაში მიიჩნევდა, ამგვარი დოკუმენტების შესახებ ნაკლები ცოდნა გამოამჟღავნეს³².

მნიშვნელოვანია, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, უვიზო მიმოსვლის რეჟიმის წესების ცოდნა შემცირდა. 2017 წლის ანალოგიური ინდექსის საშუალო მაჩვენებელმა 2.2 ქულა შეადგინა, 2019 წელს 1.9 -მდე, ხოლო 2021 წელს 1.75 -მდე.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ უვიზო მიმოსვლის მინიჭების შემდეგ, ჩვენს თანამოქალაქეებს ევროკავშირში მუშაობა შეუძლიათ. სამოცდათორმეტმა პროცენტმა აღნიშნა, რომ უვიზო რეჟიმის შედეგად საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის ქვეყნებში მუშაობის უფლება აქვთ. მხოლოდ 19%-ს მიაჩნდა, რომ ქართველებს უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის ქვეყნებში მუშაობის უფლებას არ ანიჭებდა. დაახლოებით 19% არ იყო დარწმუნებული.

³² განსხვავებები შეფასდა პუასონის რეგრესიული მოდელის გამოყენებით, რომელიც პროგნოზირებს ინდექსის ქულებს. ამხსნელი ცვლადები მოიცავს რესპონდენტების სქესს, ასაკს, განათლებას, ეთნიკურ იდენტობას, საცხოვრებელს, რელიგიურობას და აღქმულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, უვიზო მიმოსვლის რეჟიმის პირობებში ევროკავშირში მუშაობის უფლებასთან დაკავშირებული წესების ცოდნა გაუარესდა. 2017 წელს, როდესაც საქართველომ უვიზო მიმოსვლა მიიღო, უმრავლესობამ (59%) სწორად მიუთითა, რომ ეს შეთანხმება ქვეყნის მოქალაქეებს ევროკავშირში/შენგენის ქვეყნებში მუშაობის უფლებას არ ანიჭებდა. მსგავსი შეხედულების მქონე მოსახლეობის წილი შემცირდა 2019 წელს; თუმცა, ჩვენს თანამოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი (42%) კვლავ სწორად ფიქრობს, რომ საქართველოს მოქალაქეები უვიზო მიმოსვლის შემოღებით ევროკავშირში მუშაობას ვერ შეძლებენ.

უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ქვეყნის მოქალაქეებს საშუალებას აძლევს დარჩნენ ევროკავშირში/შენგენის ქვეყნებში 90 დღე 180 დღის განმავლობაში³³. კითხვაზე, თუ რა არის იმ მაქსიმალური დღეების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ევროკავშირში/შენგენის ზონაში დარჩენა, მხოლოდ 6%-მა გასცა სწორი პასუხი. უმრავლესობამ (54%) აღნიშნა, რომ ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში გამგზავრება წელიწადში 90 დღის განმავლობაშია შესაძლებელი; 10% - მა განაცხადა, რომ წელიწადში 180 დღეა ნებადართული, ხოლო 4%-ის მოსაზრებით, უვიზო მიმოსვლის რეჟიმი მოქალაქეებს საშუალებას აძლევს დარჩნენ ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში 60 დღე 90 დღის განმავლობაში. თითქმის მეოთხედმა (24%) არ იცოდა დასმულ კითხვაზე პასუხი.

ვინ იცის მეტი ევროკავშირისა და მის პოლიტიკის შესახებ საქართველოში?


იმის გასაგებად, მოსახლეობის თუ რომელმა ჯგუფმა იცის მეტი ევროკავშირის შესახებ, შეიქმნა შედგენილი ინდექსი. ინდექსი ეფუძნება ცოდნის კომპონენტის ფარგლებში რესპონდენტებისათვის დასმულ კითხვებზე სწორი პასუხების რაოდენობას (იხ. ცხრილი 2). ინდექსის მაქსიმალური მნიშვნელობა, 8, შეესაბამება ევროკავშირის და მასთან დაკავშირებული პოლიტიკის საუკეთესო ცოდნას, ხოლო ნული შეესაბამება ცოდნის არქონას.

ცხრილი 2: ევროკავშირის ცოდნის ინდექსის გამოსათვლელად გამოყენებული ცვლადები

ცვლადი	სწორი პასუხი
ევროკავშირის წევრი ქვეყნების რაოდენობა	21 დან 30 მდე
საქართველო ევროკავშირის წევრია?	არა
ნორვეგია ევროკავშირის წევრია?	არა
რუსეთი ევროკავშირის წევრია?	არა
მოლდოვა ევროკავშირის წევრია?	არა
რუმინეთი ევროკავშირის წევრია?	კი
აქვთ თუ არა ქართველებს ევროკავშირში მუშაობის უფლება?	არა
ევროკავშირში დარჩენის მაქსიმალური ხანგრძლივობა	90 დღე 180 დღის განმავლობაში

³³ ევროკომისია, "ხშირად დასმული კითხვები შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით" (https://eeas.europa.eu/sites/default/files/visa_waiver_faqs_en.pdf, 2021).

საერთო ჯამში, მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა უპასუხა სწორად ცოდნასთან დაკავშირებულ ყველა კითხვას, ხოლო მოსახლეობის 8%-მა სწორად ვერც ერთ შეკითხვას ვერ გასცა პასუხი საშუალოდ, რესპონდენტებმა რვა შეკითხვიდან სამზე ოდნავ ნაკლებს (2.9) უპასუხეს სწორად. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს, საშუალოდ, მოქალაქეებმა სწორად უპასუხეს 3.3 კითხვას, ხოლო 2019 წელს საშუალო ქულა შემცირდა 3-მდე.




დიაგრამა 19: ევროკავშირის ცოდნის ინდექსის მაჩვენებელი დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით. შეფასებები გამომდინარეობს პუასონის რეგრესიული მოდელიდან

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები მოსახლეობის ჯგუფებში ევროკავშირის შესახებ ცოდნის თვალსაზრისით, ვარიაციები ხშირ შემთხვევაში არ არის მნიშვნელოვანი (დიაგრამა 19). აღსანიშნავია, რომ ქალებს, ეთნიკურად აზერბაიჯანელებს და საშუალო ან დაბალი საფეხურის განათლების მქონეების, მამაკაცებთან, სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან და უმაღლესი განათლების მქონე პირებთან შედარებით, დაბალი ქულა აქვთ³⁴.

ევროკავშირის შესახებ მიღებული ინფორმაცია

რესპონდენტებს ჰკითხეს, თუ რა რაოდენობის ინფორმაციას იღებენ ევროკავშირის შესახებ სხვადასხვა წყაროდან (დიაგრამა 20). უმეტესობა ინფორმაციას ტელევიზიიდან იღებს (75%), შემდეგ მოდის მეგობრები, ნათესავები ან კოლეგები (47%) და ონლაინ სოციალური ქსელები (44%). ოცდაცხრა პროცენტმა დაასახელა საინფორმაციო საშუალებების ვებგვერდები, ხოლო დაახლოებით თანაბარმა ნაწილმა (16%) დაასახელა ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში და საქართველოს სამთავრობო ვებგვერდები.

³⁴ განსხვავებები გამოვლინდა პუასონის რეგრესიული მოდელის გამოყენებით, საერთო სოციალურ-დემოგრაფიული კოვარიაციებით




დიაგრამა 20: გთხოვთ, შეაფასოთ, რა რაოდენობის ინფორმაციას იღებთ ევროკავშირის შესახებ შემდეგი წყაროებიდან? რესპონდენტების წილი, რომლებმაც განაცხადეს, რომ შემდეგი წყაროებიდან რაიმე ინფორმაცია მაინც მიიღეს

მოსახლეობის 15% ევროკავშირის შესახებ ინფორმაციას საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მათი ვებგვერდებიდან იღებს, 14% - ბეჭდური მედიიდან, შემდეგ მოდის სასწავლო დაწესებულებები და საქართველოს სამთავრობო უწყებები (თითოეული 12%). ნაკლებმა გამოკითხულმა დაასახელა რადიო (11%), საინფორმაციო ბროშურები (10%), ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი (9%) და საელჩოები თუ საერთაშორისო ორგანიზაციები (9%).

მოქალაქეთა 44%-ს სურს მიიღოს მეტი ინფორმაცია ევროკავშირის შესახებ. გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტს (53%), უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების დაახლოებით 57%-ს და თბილისის მოსახლეობის თითქმის ორ მესამედს (62%) სურს გაიგოს მეტი ევროკავშირის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების ინტერესმა 2021 წელს, ბოლო 13 წლის განმავლობაში, ყველაზე დაბალ მაჩვენებელს მიაღწია. ევროკავშირის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღებით დაინტერესებულთა წილი 2009 წელს 66%-დან 13 პროცენტული პუნქტით შემცირდა და კვლევის წინა ტალღებთან შედარებით, 2021 წელს მინიმუმს მიაღწია.




დიაგრამა 21: გთხოვთ, მითხრათ, რა ინფორმაციის მიღებას ისურვებდით ევროკავშირის შესახებ? (%)
 მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ევროკავშირის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღებით (44%) მაქსიმუმ სამი პასუხი

წინამდებარე დიაგრამაზე (დიაგრამა 21) ასახულია, თუ რა ინფორმაციის მიღება სურთ საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის შესახებ. მნიშვნელოვან ნაწილს სურს მიიღოს ინფორმაცია საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების შესახებ (41%). დაახლოებით მესამედმა დაასახელა ევროკავშირის საგანმანათლებლო პროგრამები (33%), შემდეგ მოდის ევროკავშირის როლი ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებაში (24%) და ევროკავშირის შრომის ბაზარი (23%). ნაკლებმა აირჩია კანონის უზენაესობა (21%) და ხელფასები ევროკავშირში (20%). ერთ მეხუთედზე ნაკლები დაინტერესებულია სოციალური დაცვით, ჯანდაცვის სისტემით, კულტურული პროგრამებით და ვიზასთან დაკავშირებული რეგულაციებით ევროკავშირში. უმრავლესობას ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის მიღება ტელევიზიით სურს (68%), შემდეგ მოდის სოციალური მედია (38%).

საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირში ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერა

საქართველოს მოსახლეობა ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს მტკიცედ უჭერს. ხვალ რომ რეფერენდუმი ტარდებოდა, საქართველოს მოსახლეობის 77%, ანუ ქვეყნის მოსახლეობის სამ მეოთხედზე მეტი, ხმას მისცემდა საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში; 8% გაწევრიანების წინააღმდეგ მისცემდა ხმას, 6% საერთოდ არ მიიღებდა მონაწილეობას რეფერენდუმში, ხოლო 9% -მა არ იცოდა პასუხი.

2019 წელს ჩატარებულ კვლევასთან შედარებით, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მსურველების წილი გაიზარდა. ჰიპოთეტურ რეფერენდუმში ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებისთვის მხარდამჭერების წილი გაიზარდა ექვსი პროცენტული პუნქტით.



დიაგრამა 22: ხვალ რომ რეფერენდუმი ტარდებოდეს საქართველოს /ორგანიზაციაში/ გაწევრიანების შესახებ, მხარს დაუჭერდით თუ წინააღმდეგი იქნებოდით? (%)

აღსანიშნავია, რომ უფრო მეტი უჭერს მხარს ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას, ვიდრე ნატოში ან რუსეთის ევრაზიულ კავშირში (დიაგრამა 22). ხვალ რომ რეფერენდუმი ტარდებოდეს, მოსახლეობის 73% ხმას მისცემდა ნატოში გაწევრიანებას. ნახევარზე მეტი არ დაუჭერდა მხარს ქვეყნის გაწევრიანებას ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში (51%), ხოლო ერთ მეოთხედზე ნაკლები (24%) რეფერენდუმში ამას მხარს დაუჭერდა.

ქალები და კაცები თანაბრად (77%) ამბობენ, რომ ისინი ხმას მისცემდნენ საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში. ეთნიკურად ქართველები (80%) უმეტესწილად ხმას მისცემდნენ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. ეთნიკური აზერბაიჯანლების შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი არის 56%, ხოლო ეთნიკურად სომხების შემთხვევაში - 49% ეთნიკური უმცირესობები უფრო მეტად ავლენენ ამბივალენტური განწყობას; ისინი ამბობენ, რომ თავს შეიკავებენ ხმის მიცემისგან, ან არ იციან პასუხი.

უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების 84% ხმას მისცემდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. პროფესიული განათლების მქონე ქართველებისთვის ეს მაჩვენებელი 74% -ია, ხოლო საშუალო განათლების მქონეებისათვის - 72%.

ჰიპოთეტურ რეფერენდუმში უფრო მეტი თბილისელი (83%) მისცემდა ხმას საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში, ვიდრე სხვა ქალაქების (79%) და სოფლების მცხოვრებლები (72%). რესპონდენტები, რომლებიც თავიანთი შინამეურნეობების ეკონომიკურ მდგომარეობას თითქმის სამყოფად (83%) ან გაჭირვებით სამყოფად (80%) აფასებენ, უფრო მეტად დაუჭერენ მხარს ევროკავშირში გაწევრიანებას, ვიდრე ისინი, ვისაც ეკონომიკურად ძალიან უჭირს (71%). ეს უკანასკნელი კატეგორია უფრო მეტად არის ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების წინააღმდეგი (13%).

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ნატოში გაწევრიანებისადმი მხარდაჭერის პროგნოზირება შესაძლებელია მოსახლეობის მსგავსი სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორებით (გარდა სქესისა). ეთნიკური ქართველები, უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები, თბილისელები და შედარებით უკეთესი ეკონომიკური პირობების მქონე რესპონდენტები უფრო მეტად უჭერენ მხარს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ჰიპოთეტურ რეფერენდუმში.

ევრაზიის ეკონომიკური კავშირი ხშირად წარმოდგენილია როგორც ევროკავშირის ალტერნატივა³⁵ განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს

³⁵ სიბრენ დე იონგი, "ევრაზიული ეკონომიკური კავშირი და ევროკავშირი", ევროპული პოლიტიკის ანალიზი სექტემბერი, No. 11 (2016): 12.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებებს³⁶. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეთა მცირე რაოდენობა გამოხატავს ენთუზიაზმს რუსეთის მიერ მართულ ორგანიზაციაში ქვეყნის გაწევრიანებისადმი, სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით გარკვეული განსხვავებები შეინიშნება. ოდნავ მეტი მამაკაცი (27%) ვიდრე ქალი (21%) აცხადებს, რომ ისინი ხმას მისცემენ საქართველოს გაწევრიანებას ევრაზიის კავშირში. უფრო მეტი ეთნიკურად სომეხი (43%) დაუჭერდა მხარს საქართველოს წევრობას ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში, ვიდრე ეთნიკურად ქართველი (22%) და აზერბაიჯანელი (26%). აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის მნიშვნელოვანი ნაწილი (39%) არ აქვს კითხვაზე პასუხი.

უმადლესი განათლების მქონეები უფრო ეწინააღმდეგებიან ქვეყნის ევრაზიის კავშირში გაწევრიანებას (62%), ვიდრე ეთანხმებიან (19%). საშუალო ან დაბალი განათლების მქონე პირთა დაახლოებით 28% ხმას მისცემდა საქართველოს ევრაზიის კავშირში გაწევრიანებას.

რეფერენდუმი რომ ტარდებოდეს, თბილისელების ორი მესამედი (66%) ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში საქართველოს გაწევრიანების წინააღმდეგ მისცემდა ხმას. რესპონდენტების 17% მხარს დაუჭერდა საქართველოს გაწევრიანებას ორგანიზაციაში. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქალაქებისა და სოფლის ტიპის დასახლებების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ევრაზიის კავშირში გაწევრიანების წინააღმდეგია, ამ ჯგუფების დაახლოებით მეოთხედი მხარს უჭერს საქართველოს გაწევრიანებას ორგანიზაციაში.

საინტერესოა, რომ ის ქართველები, რომლებიც ესწრებიან რელიგიურ მსახურებებს, უფრო მეტად უჭერენ მხარს ევრაზიის კავშირში გაწევრიანებას, ვიდრე ისინი, ვინც არ დადიან ეკლესიაში. ეკლესიის მრევლის მეოთხედი აცხადებს, რომ ხმას მისცემდა საქართველოს გაწევრიანებას ევრაზიის კავშირში, ხოლო მათგან ვინც ეკლესიაში არასოდეს დადის, მხოლოდ 17% ამბობს იმავეს.


გამოკითხვის საშუალებით, ვეცადეთ, გამოგვეჩვენოთ, რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვთ თანამოქალაქეებს, ევროკავშირის მოქალაქეებსა და წევრი ქვეყნების მთავრობებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. სამი მეოთხედი (74%) მიიჩნევს, რომ საერთო ჯამში, საქართველოს მოსახლეობას სურს, ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდეს, ხოლო 9% არ ეთანხმება, რომ უმრავლესობა მხარს უჭერს ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას. დაახლოებით 18% არ არის დარწმუნებული.

ჩვენი თანამოქალაქეები ნაკლებად არიან დარწმუნებულები იმაში, თუ რამდენად დაუჭერდა მხარს ევროკავშირის მოქალაქეთა უმრავლესობა საქართველოს გაწევრიანებას ორგანიზაციაში. მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით (49%), ევროკავშირის მოქალაქეები მხარს დაუჭერდნენ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, ერთ მესამედზე ოდნავ მეტი (35%) კი არ არის დარწმუნებული; 16% ფიქრობს, რომ ევროკავშირის მოქალაქეები საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების წინააღმდეგი იქნებოდნენ.

ნახევარზე მეტი (51%) დარწმუნებულია, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში. ოცდაერთი

³⁶ ჰანს-იურგენ ზაჰორკა და ოფელია სარგსიანი, "ევრაზიის საბაჟო კავშირი: ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ალტერნატივა?" ევროპული ხედვა 13, არა. 1 (2014 წლის ივნისი): 89–96, <https://doi.org/10.1007/s12290-014-0309-3>

პროცენტი არ არის დარწმუნებული, ხოლო 18%-ის აზრით, ევროკავშირის მთავრობების უმეტესობა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების წინააღმდეგია.



დიაგრამა 23: როგორ ფიქრობთ, როდის გახდება საქართველო ევროკავშირის წევრი? (%)

კვლევის წინა სამ ტალღასთან შედარებით, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების ვადებს უფრო მეტი ადამიანი უყურებს ოპტიმისტურად (დიაგრამა 23). 2021 წლის გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობის 28 %-ს სჯერა, რომ ქვეყანა ევროკავშირის წევრი მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში გახდება, ეს მაჩვენებელი 2019 წელთან შედარებით 13 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი. იმ პირთა წილი, ვინც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას ექვსიდან ათი წლის ვადაში ვარაუდობს (18%), მნიშვნელოვნად არ შეცვლილა 2019 წლის შემდეგ, ხოლო რესპონდენტების წილი, რომლებიც ასეთ ნაბიჯს ათ წელზე მეტი დროის შემდეგ ელოდებიან, შემცირდა 19% -დან 2019 წელს 12% -მდე 2021 წელს. აღსანიშნავია, რომ მათ წილი, ვინც არ იყო დარწმუნებული, 2019 წელთან შედარებით, 2021 წელს დაახლოებით ოთხი პროცენტული პუნქტით შემცირდა და მიაღწია 32%-ს.

ისინი, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში, პირველ რიგში მოტივირებულნი არიან პოტენციური ეკონომიკური სარგებლით. გამოკითხულების 56% აღნიშნავს, რომ ხმას მისცემს ევროკავშირში გაწევრიანებას, რადგან ამით მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება. დაახლოებით 36% უსაფრთხოების საკითხებს ითვალისწინებს. კერძოდ, 18%-ს სჯერა, რომ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ საქართველო უკეთ იქნება დაცული საგარეო საფრთხეებისგან, ხოლო 17%-ის აზრით, გაიზრდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსები. ოთხ პროცენტზე ნაკლებმა დაასახელა სხვა მიზეზები, როგორიცაა ევროკავშირში უვიზო მოგზაურობის შესაძლებლობა და ევროპელებისთვის ქართული კულტურის გაცნობის შესაძლებლობა.

მცირე ნაწილი ჰიპოთეტურ რეჟერენდუმში ევროკავშირში გაწევრიანების წინააღმდეგ მისცემდა ხმას. მათი ძირითადი არგუმენტია, რომ ევროკავშირში გაწევრიანება ზიანს მიაყენებს ჩვენს კულტურას და ტრადიციებს (31%). გამოკითხულთა 21%-ის აზრით, ასეთი ნაბიჯი შეზღუდავს საქართველოს დამოუკიდებლობას, ხოლო 20% ფიქრობს, რომ ევროკავშირის წევრობა ხელს შეუშლის რუსეთთან ურთიერთობას. უფრო მცირე რაოდენობის აზრით, ევროკავშირში გაწევრიანებით შემცირდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის


(18%) შანსები და გაუარესდება ცხოვრების დონე (15%), ამიტომ ისინი საქართველოს ევროკავშირის წევრობის წინააღმდეგ მისცემდნენ ხმას.

მსგავსი კითხვები დაისვა საქართველოს ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებითაც. ისინი, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს გაწევრიანებას ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში, თავიანთი არჩევანის მიზეზად ეკონომიკურ ფაქტორებს ასახელებენ და ამბობენ, რომ ამით მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება (47%); 21% მიიჩნევს, რომ ორგანიზაციის წევრობის შემდეგ, გაიზრდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსები. შედარებით ნაკლები რესპონდენტი ასახელებს კავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობებსა (10%) და საგარეო საფრთხეებისგან დაცვას (6%) მათი გადაწყვეტილების მიზეზად.

ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანების მოწინააღმდეგეები გადაწყვეტილებას ასაბუთებენ იმით, რომ ასეთი ნაბიჯი ზღუდავს საქართველოს დამოუკიდებლობას (61%). დაახლოებით 27% ფიქრობს, რომ ეს შეამცირებს კონფლიქტური რეგიონების დაბრუნების შანსებს, ხოლო 24%-ის აზრით, ევრაზიის კავშირში გაწევრიანება ხელს შეუშლის საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობას. გამოკითხულთა 18% ხმას არ მისცემს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას, რადგან მათ აზრით, ამით საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება. სხვები მიიჩნევენ, რომ მისი წევრობა საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს კულტურისა და ტრადიციებისათვის (8%).

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მზაობის აღქმა

რესპონდენტებს გააცნეს საჯარო პოლიტიკის საკითხების ვრცელი ჩამონათვალი და ჰკითხეს, არის თუ არა ქვეყანა მზად ევროკავშირის წევრობისთვის დასახელებულ სფეროში. საერთო ჯამში, ყველა ჩამოთვლილ პუნქტზე პასუხის გათვალისწინებით, უფრო მეტი მიიჩნევს ქვეყანას მოუმზადებლად ევროკავშირში გაწევრიანებისათვის ვიდრე - მომზადებულად (დიაგრამა 24).




დიაგრამა 24: თქვენი აზრით, არის თუ არა საქართველო მზად ევროკავშირის წევრობისთვის შემდეგ სფეროებში? (%)

რესპონდენტების უფრო მეტი რაოდენობა ამბობს, რომ ქვეყანა ევროკავშირის წევრობისთვის ნამდვილად მზადაა, ან უფრო მზადაა ვიდრე მზად არ არის უმცირესობების უფლებების დაცვისა და პატივისცემის თვალსაზრისით (40%); 46% ფიქრობს, რომ საქართველო ამ მხრივ მზად არ არის. დაახლოებით 33% მიიჩნევს, რომ ქვეყანა მომზადებულია ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში და აქვს ჩამოყალიბებული

დემოკრატიულ ინსტიტუტები, ხოლო დაახლოებით 54% ფიქრობს, რომ საქართველო უფრო არ არის მზად, ვიდრე არის, ან ნამდვილად არ არის მზად ევროკავშირის წევრობისთვის.

გამოკითხულთა 27%-ს მიაჩნია, რომ კანონის უზენაესობის მხრივ, საქართველო მზად არის ევროკავშირში გაწევრიანებისათვის, ხოლო დაახლოებით 58% მიიჩნევს, რომ ამ კომპონენტში საქართველო არ არის მზად ევროკავშირში გაწევრიანებისათვის. ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კუთხით, თითქმის 27% მიიჩნევს, რომ ქვეყანა მზად არის ევროკავშირში გაწევრიანებისათვის.

მცირე ნაწილს (24%) თვლის, რომ საქართველო მზადაა გაწევრიანდეს ევროკავშირში კონკურენტული საბაზრო ეკონომიკის არსებობის თვალსაზრისით. ეს ის პუნქტია, სადაც მოსახლეობის უმეტესობა (59%) უარყოფითად აფასებს ქვეყნის მზადყოფნას ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.




დიაგრამა 25: თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რა უშლის საქართველოს ხელს, რომ გახდეს ევროკავშირის წევრი? (%) შესაძლებელი იყო ყველა პასუხის მიღება

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შემაფერხებელ ფაქტორებს შორის ყველაზე ხშირად დასახელებულია პოლიტიკური ფაქტორები, როგორებიცაა მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტები (39%) და პოლიტიკური არასტაბილურობა (37%). გამოკითხულთა 19%-ს მიაჩნია, რომ განუვითარებელი ეკონომიკა აფერხებს საქართველოს სწრაფვას ევროკავშირის წევრობისკენ, ხოლო 18% ასეთ ფაქტორად რუსეთს ასახელებს. რესპონდენტების მცირე რაოდენობა 1მთავრობის მხრიდან პოლიტიკური ნების ნაკლებობას (15%), დემოკრატიის დეფიციტს (12%) და ევროკავშირის მხრიდან პოლიტიკური ნების ნაკლებობას (10%) ასახელებს. მოსახლეობის 10%-ზე ნაკლები ირჩევს სხვა ფაქტორები, როგორებიცაა პროფესიონალიზმის ნაკლებობა საქართველოს საჯარო სექტორში, განუვითარებელ სამოქალაქო საზოგადოებას, განათლების დაბალი დონეს და სხვა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ შედეგები კვლევის წინა ტალღასთან თანხვედრაშია, მათ წილი, ვინც პასუხად პოლიტიკური არასტაბილურობა მიუთითა, თორმეტი პროცენტული პუნქტით გაზრდილია 2019 წელთან შედარებით.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შედეგების აღქმა

ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ მოქალაქეები საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მიმართულებით გაუმჯობესებას ელიან (დიაგრამა 26). გამოკითხულთა 76% ფიქრობს, რომ ეს ნაბიჯი მნიშვნელოვნად ან გარკვეულწილად გაზრდის განათლების ხარისხს საქართველოში, ქვეყანაში გაიზრდება სამუშაო ადგილების რაოდენობა (74%) და პენსიები (71%), გაუმჯობესდება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება (70%) ; ასევე 70%-ს სჯერა, რომ ევროკავშირში გაწევრიანებას დადებითი გავლენა ექნება საქართველოს მოქალაქეების შემოსავალზე. იგივე წილი ელოდება სიტყვის თავისუფლების გაუმჯობესებას, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობების გაზრდას (69%), უფრო ხელმისაწვდომ ჯანდაცვას (67%), უმცირესობათა უფლებების უკეთეს დაცვას (66%) და საკუთრების უფლებების დაცვას (65%), ხოლო 65% ფიქრობს, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შედეგად გაიზრდება სასამართლოების დამოუკიდებლობა. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის აზრით, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებით გარკვეულწილად ან მნიშვნელოვნად შემცირდება კორუფცია (60%) და სიღარიბის დონე (66%). ნახევარზე მეტი (53%) ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გაზრდილ შესაძლებლობებს ვარაუდობს.



დიაგრამა 26: თქვენი აზრით, რა არის მთავარი ბარიერი იმისა, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა? (%) რამდენიმე პასუხი

მოსაზრებები განსხვავებულია ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა ემიგრაციაში წასვლის შესაძლებლობა, ფასები სამომხმარებლო საქონელზე და ქართული ტრადიციების პატივისცემა. უფრო მეტი ადამიანი (42%) ფიქრობს, რომ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ ემიგრაციის მსურველი მოქალაქეების რიცხვი გაიზრდება, ხოლო შედარებით ნაკლები (31%) პირიქით ვარაუდობს. გამოკითხულების მნიშვნელოვანი ნაწილი ელოდება ფასების გაზრდას ძირითად სამომხმარებლო საქონელზე (38%), ხოლო 27% ფიქრობს, რომ ფასები შემცირდება. აღსანიშნავია, რომ უმრავლესობის აზრით, ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ ქვეყნის ეროვნული ტრადიციების მიმართ პატივისცემა იგივე დარჩება (41%) ან შეიძლება უკეთეს იყოს დაცული (30%). მხოლოდ 18% ფიქრობს, რომ ქართული ტრადიციები ნაკლებად იქნება დაცული, თუ ქვეყანა გახდება ევროკავშირის წევრი.

დაბოლოს, რესპონდენტებს ჰკითხეს, რა შეიძლება მოხდეს რუსეთთან ურთიერთობის კუთხით, თუ საქართველო გააძლიერებს კავშირებს ევროკავშირთან. უმრავლესობა (68%) ელოდება, რომ ასეთი ნაბიჯი რუსეთთან ორმხრივ ურთიერთობებზე ან ძალიან უარყოფითად ან უფრო უარყოფითად აისახება ვიდრე დადებითად. გამოკითხულთა 9% ელოდება ძალიან დადებით ან გარკვეულწილად დადებით ეფექტებს, მსგავსი წილი არ ელოდება არანაირ გავლენას, ხოლო 14% არ არის დარწმუნებული რომ ამას რამე ეფექტი ექნება.

დასკვნები

იმის გასაგებად, თუ როგორ აღიქვამს საქართველოს მოსახლეობა ევროკავშირს, რესპონდენტებს დაუსვეს კითხვები, რომლებიც აფასებდა მათ დამოკიდებულებებს, ნდობას და ორგანიზაციის აღქმას. მოსახლეობის უმეტესობა ევროკავშირს დადებითად აღიქვამს. ჯაშში, ქართველების 46%-ს აქვს ან ძალიან დადებითი (16%), ან უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი (30%) დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ. დაახლოებით 43%-ს ნეიტრალური შეხედულება აქვს ევროკავშირის მიმართ, ხოლო უმცირესობას (7%) - უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი, ან ძალიან უარყოფითი.

რესპონდენტის ეთნიკური იდენტობა ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულების განსაზღვრის საშუალებას იძლევა. ეთნიკურად ქართველებს (6%) და აზერბაიჯანლებს (4%) ყველაზე ნაკლებად აქვთ უარყოფითი მოსაზრებები ორგანიზაციაზე, სომხებისგან (19%) და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისგან (24%) განსხვავებით. ეთნიკურად ქართველების უმეტესობა (48%) ევროკავშირს დადებითად აღიქვამს, ეთნიკურად სომხების უმეტესობა (45%) კი - ნეიტრალურად.

ევროკავშირი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ნდობის მქონე ინსტიტუტია. საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირს უფრო ენდობიან, ვიდრე საკუთარი ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების უმეტესობას. ნდობის მაჩვენებლით (50%), ანუ „სრულიად ვენდობი“ და „ვენდობი“ პასუხების ჯამური მაჩვენებლით, ევროკავშირი მხოლოდ ჯარს (77%) და რელიგიურ ინსტიტუტებს (70%) ჩამორჩება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტენდენცია უკვე წლების განმავლობაში იკვეთება, დიდი ალბათობით, ასეთი მაღალი ნდობა ასევე განაპირობა ევროკავშირის აქტიურმა ჩართულობამ საქართველოს ბოლოდროინდელი პოლიტიკური კრიზისის განმუხტვაში.

ეთნიკურად ქართველების 52% ევროკავშირს სრულიად ენდობა ან ენდობა. მას მოსდევს ეთნიკურად აზერბაიჯანლები (48%), სომხები (38%) და სხვა ეთნიკური ჯგუფები (21%). ეს უკანასკნელი ჯგუფი უფრო მეტად არ ენდობა ევროკავშირს (46%), ვიდრე ეთნიკურად სომხები, აზერბაიჯანლები და ქართველები.

საქართველოში, კონსერვატიული და რელიგიური ჯგუფები ხშირად აცხადებდნენ, რომ დასავლური ღირებულებები და, კონკრეტულად, ევროკავშირის ღირებულებები, აზიანებს ქართულ კულტურასა და სოციალურ ნორმებს. ამის საპირისპიროდ, მოსახლეობის დაახლოებით 54% სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ ტრადიციებს; და მაინც, 35% ამ დებულებას ეთანხმება. ეს პირველი შემთხვევაა, როცა უმრავლესობა თანხმდება, რომ ევროკავშირი არ შეიცავს საფრთხეს ქვეყნის ტრადიციებისთვის. 2015 წელთან შედარებით, როდესაც რესპონდენტების მხოლოდ 34% სრულად ან ნაწილობრივ არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას, 2021 წლის გამოკითხვაში, რესპონდენტების ოდენობა, რომელიც აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს 20 პროცენტული პუნქტით გაზრდილია.

უფრო ახალგაზრდა რესპონდენტები, ეთნიკურად ქართველები, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები უფრო მეტად არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ევროკავშირი ქართულ ტრადიციებს საფრთხეს უქმნის. მსგავსი შეხედულება აქვთ მათ, ვინც არასდროს ესწრება რელიგიურ მსახურებებს და ვისაც უფრო მაღალი ეკონომიკური სტატუსის აღქმა აქვს.

ხანშიშესული რესპონდენტები, საშუალო ან პროფესიული განათლების მქონე პირები, რესპონდენტები, რომლებიც რელიგიურ მსახურებებს ესწრებიან და ისინი, ვინც ეკონომიკური

სიტუაციის აღქმის სკალაზე დაბალ პოზიციას იკავებენ უფრო მაღალი ალბათობით ევროკავშირის ქართული ტრადიციებისთვის საფრთხის შემცველად მიიჩნევენ.

დაახლოებით 34% ამბობს, რომ უპირველესად, ევროკავშირი საერთაშორისო ორგანიზაციაა. მეოთხედზე მცირედით ნაკლებისთვის (23%) ევროკავშირი პოლიტიკური ორგანიზაციაა, 22%-თვის კი - ეკონომიკური გაერთიანება. უფრო ცოტა ადამიანს მიაჩნია ევროკავშირი სამხედრო ბლოკად (4%), კულტურულ გაერთიანებად (2%), ან არასამთავრობო ორგანიზაციად (1%). ქართულენოვან თემებში მცხოვრებ რესპონდენტებს უფრო მეტად აქვთ მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა არის ევროკავშირი.

გამოკითხულთა 28% ფიქრობს, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები ძალიან კარგია, ან უფრო კარგია, ვიდრე ცუდი. უმრავლესობის აზრით (56%) კი, ამჟამად, ურთიერთობები ნეიტრალურია; 13%-ს არ აქვს გამოკვეთილი პოზიცია და არ იცის პასუხი ამ კითხვაზე. რესპონდენტების მხოლოდ 4% აცხადებს, რომ ურთიერთობები ცუდია, ან უფრო ცუდია, ვიდრე კარგი.

უმრავლესობა მხარს უჭერს ევროკავშირთან უფრო ახლო ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობას. პოლიტიკური თანამშრომლობის კუთხით, ევროკავშირი პირველობას იყოფს შეერთებულ შტატებთან; ორივე მათგანი რესპონდენტების 60%-თვის არის პირველი არჩევანი ამ კუთხით. რაც შეეხება ეკონომიკურ თანამშრომლობას, ამ მიმართულებით, მოქალაქეები ყველაზე ხშირად ევროკავშირს მოიაზრებენ სასურველ პარტნიორად (59%). უმეტესობა ასევე ფიქრობს, რომ ევროკავშირი ყველაზე უკეთ გაუწევს დახმარებას საქართველოს (43%), მას მოსდევს ამერიკის შეერთებული შტატები (27%). მხოლოდ 13% თვლის, რომ საქართველოს მხარდაჭერა ყველაზე უკეთ რუსეთს შეუძლია.

ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ ევროკავშირის დახმარება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. დაახლოებით 86%-თვის ეს დახმარება ძალიან მნიშვნელოვანი ან მნიშვნელოვანია. თუმცა, მათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, თუ რა დახმარებას უწევს ევროკავშირი საქართველოს. მეოთხედზე მეტმა ან არ იცის, თუ რა დახმარებას უწევს ევროკავშირი საქართველოს (22%), ან ფიქრობს, რომ ევროკავშირი საქართველოს არაფრით ეხმარება (7%). 43%-ის აზრით, ევროკავშირი საქართველოზე ჰუმანიტარულ დახმარებას გასცემ, ხოლო 22%-ს მიაჩნია, რომ ევროკავშირი საქართველოს ეკონომიკაში ინვესტირებით ეხმარება.

გამოკითხულთა უმეტესობა ფიქრობს, რომ ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარებით პოლიტიკოსები და ხელისუფლების წარმომადგენლები სარგებლობენ. დაახლოებით ერთი მეხუთედის აზრით (22%) სარგებელს ყველა ქართველი იღებს, 19% ხედავს სარგებელს ბიზნესმენებისთვის, 15% კი ფიქრობს, რომ დახმარების ბენეფიციარები სტუდენტები არიან.

დიდი ნაწილის აზრით, საქართველოსთვის გაწეული დახმარება წინასწარ განსაზღვრული მიზნებისთვის არ იხარჯება. გამოკითხულთა 67% აღნიშნავს, რომ ეს თანხები მთლიანად ან ნაწილობრივ არ დახარჯულა განკუთვნილი მიზნებისთვის.

მოქალაქეთა უმეტესობა (დაახლოებით 43%) დადებითად აღიქვამს ევროკავშირის როლს 2008 წლის აგვისტოს ომში. 26% მიიჩნევს, რომ ორგანიზაციამ კონფლიქტში ნეიტრალური როლი ითამაშა, 14%-ის აზრით კი მისი როლი, ძირითადად, ნეგატიური იყო. რაც შეეხება, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარმა (47%) არ იცის მისიის საქმიანობის შესახებ.

მხოლოდ 39%-ს სმენია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება შესახებ. გამოკითხულთა 39%-ს, ანუ მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებს ასოცირების შეთანხმების

შესახებ ინფორმაცია არ აქვს. დაახლოებით 6%-ს ნათელი პასუხი არ აქვს კითხვაზე. ასოცირების შეთანხმების შესახებ ინფორმირებულობის დონე ყველაზე დაბალია 2014 წლის, ანუ დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ.

ეთნიკურად ქართველები (43%), უმაღლესი განათლების მქონე პირები (60%) და ისინი, ვისაც საკუთარი შემოსავალი საკმარისად ან საკმარისზე მეტად მიაჩნია (49%) უფრო მეტად იცნობენ შეთანხმებას. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, მათ შორის, სომხები (15%) და აზერბაიჯანელები (6%), ასევე საშუალო ან უფრო დაბალი განათლების მქონე პირები (25%) კი - უფრო ნაკლებად.

საყურადღებოა, რომ ისინი, რომლებმაც იციან ასოცირების შეთანხმების შესახებ, მოელიან, რომ შეთანხმება წვლილს შეიტანს ყველა დასახელებული პოლიტიკის მიმართულებით, მათ შორის: გრძელვადიანი ვიზების აღების პროცედურების გამარტივების, ჯანდაცვის და უსაფრთხოების გაუმჯობესების, უმაღლესი და საშუალო განათლების ხარისხის გაზრდის, დასაქმების შესაძლებლობების შექმნისა და ენერგეტიკული ეფექტიანობის უზრუნველყოფის კუთხით.

ევროკავშირის ქვეყნები სასურველი დანიშნულების ადგილია ბევრი ადამიანისთვის, ვისაც სურს საზღვარგარეთ წასვლა სამუშაოდ, სასწავლებლად თუ საცხოვრებლად. მოსახლეობის მეოთხედზე მეტი განიხილავს სამუშაოდ უცხოეთში წასვლას. ზოგადად, იმ რესპოდენტების უმრავლესობა, რომლებსაც სამუშაოდ საზღვარგარეთ წასვლა სურთ, ემიგრაციის ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში (57%), ან ჩრდილოეთ ამერიკაში (20%) ფიქრობენ. დაახლოებით ერთი მესამედი გერმანიაში ემიგრაციას ამჯობინებდა (33%), მას მოსდევს შვედეთში (17%), იტალია (7%) და რუსეთი (5%).

მოსახლეობის 13% განიხილავს საქართველოს სამუდამოდ დატოვებას და სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლას. უფრო მეტი ადამიანი ირჩევს ევროკავშირის ქვეყნებს (39%), ხოლო მცირედით ნაკლები (38%) - ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებს, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადას.

ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედების შემდეგ, მოქალაქეთა დაახლოებით 11%-ს ერთხელ მაინც უმოგზაურია, 86%-ს კი ამის შესაძლებლობა არ ჰქონია. 2019 წლის ტალღასთან შედარებით, 2021 წლის გამოკითხვაში ხუთი პროცენტული პუნქტით გაზრდილია მათი რაოდენობა, რომლებსაც ევროკავშირში/შენგენის ქვეყანაში უმოგზაურიათ.

ახალგაზრდებს, ეთნიკურად ქართველებს, უმაღლესი განათლების მქონე და შედარებით შეძლებულ მოსახლეობას უფრო მაღალი ალბათობით უმოგზაურია ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მინიჭების შემდეგ. 35 წელზე ახალგაზრდა ქართველების დაახლოებით 18%-ია ნამყოფი ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში. ეს მაჩვენებელი 11%-ია 35-დან 54 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში და 6% - 54 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში. უფრო მეტმა ეთნიკურად ქართველმა (12%) გამოიყენა უვიზოდ მიმოსვლის შესაძლებლობა, ვიდრე სომეხმა (5%) და აზერბაიჯანელმა (4%). ეს შესაძლებლობა ასევე გამოიყენეს უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების მეხუთედმა და იმ ადამიანების 16%-მა, ვისაც საკუთარი შინამურნეობის შემოსავალი საკმარისად ან საკმარისზე მეტად მიაჩნია.

საქართველოში ევროკავშირის შესახებ ცოდნა მცირდება. ეს ეხება მოსახლეობის ცოდნას ევროკავშირის დახმარების, უვიზო მიმოსვლის წესების, ასოცირების შეთანხმების და ევროკავშირის სხვადასხვა პოლიტიკის შესახებ. ბევრს უვიზო მიმოსვლის წესების შესახებ ზედაპირული ცოდნა აქვს. მხოლოდ 7% ასახელებს ევროკავშირში/შენგენის ქვეყნების

შესასვლელად საჭირო ხუთ აუცილებელ მოთხოვნას. საშუალოდ, რესპონდენტებმა ევროკავშირში გასამგზავრებლად საჭირო მხოლოდ ორი დოკუმენტის დასახელება შეძლეს.

ამ მხრივ, უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ კაცებს, ახალგაზრდებს, სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს, უმაღლესი განათლების მქონეებს და მათ, ვისაც შემოსავალი გაჭირვებით მაინც ყოფნის. ეთნიკურად აზერბაიჯანლებმა, საშუალო ან უფრო დაბალი განათლების მქონეებმა და მათ, ვისაც თავი ეკონომიკურად შეჭირვებულად მიაჩნია, უვიზო მიმოსვლის წესები ნაკლებად იციან.

მოსახლეობის უმეტესობას სჯერა, რომ უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მინიჭების შემდეგ ევროკავშირში მუშაობას შეძლებენ. გამოკითხულთა 62%-ს არასწორად ჰგონია, რომ შეთანხმება ევროკავშირის ქვეყნებში მუშაობის უფლებას ანიჭებს. მხოლოდ 19%-ს, სწორად პასუხობს, რომ უვიზო მიმოსვლის შედეგად ქართველები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ვერ იმუშავებენ.

უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ფარგლებში მუშაობასთან დაკავშირებული წესების ცოდნა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შემცირდა. 2017 წელს, როდესაც საქართველოს უვიზო მიმოსვლა ახალი მინიჭებული ჰქონდა, უმრავლესობა (59%) ფიქრობდა, რომ ეს რეჟიმი არ აძლევდა ჩვენს თანამოქალაქეებს ევროკავშირში/შენგენის ქვეყნებში მუშაობის უფლებას. ეს მაჩვენებელი 2019 წელს შემცირდა; თუმცა, მოსახლეობის უმეტესობას (42%) მაინც მიაჩნია, რომ ქვეყნის მაცხოვრებლებს უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ევროკავშირში მუშაობის უფლებას არ ანიჭებს.

ევროკავშირის სხვადასხვა პოლიტიკის შესახებ ცოდნის გაზომვის ინდექსმა აჩვენა, რომ ქალებს, ეთნიკურად აზერბაიჯანლებს და საშუალო ან უფრო დაბალი განათლების მქონე ადამიანებს ევროკავშირის სხვადასხვა პოლიტიკის ცოდნის კუთხით უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე მამაკაცებს, სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს და უმაღლესი განათლების მქონეებს.

უმრავლესობა ევროკავშირის შესახებ ინფორმაციას ტელევიზორიდან იღებს (75%). ამას მოსდევს მეგობრები, ნათესავები და კოლეგები (47%) და სოციალური ქსელები (44%). ბოლო ცამეტი წლის განმავლობაში, ახლა ყველაზე დაბალია ევროკავშირის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების ინტერესი. მათი წილი, ვისაც ევროკავშირის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღება სურს, 2009 წელს არსებული 66%-დან 13 პროცენტული პუნქტით დაეცა (53%) და 2021 წელს მინიმუმი შეადგინა. უმეტესობას სურს ინფორმაციის მიღება ევროკავშირისა და საქართველოს შორის არსებულ სავაჭრო ურთერთობებზე (41%). დაახლოებით ერთმა მესამედმა ევროკავშირის საგანმანათლებლო პროგრამები დაასახელა (33%), რასაც მოსდევს ევროკავშირის როლი კონფლიქტის მოგვარებაში (24%).

საქართველოს მოქალაქეები ენთუზიაზმით უყურებენ ევროკავშირის წევრობას. მოსახლეობის სამ მეოთხედზე მეტი (77%) ამბობს, რომ ევროკავშირის წევრობას ხმას მისცემდა; 8% წევრობის წინააღმდეგ მისცემდა ხმას, 6% ხმის მიცემაში მონაწილეობას არ მიიღებდა, ხოლო 9%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს.

კვლევის 2019 წლის ტალღასთან შედარებით ექვსი პროცენტული პუნქტით გაიზრდა ევროკავშირის წევრობის მხარდამჭერთა რიცხვი ჰიპოთეტურ რეფერენდუმში. ეთნიკურად ქართველები (80%) უფრო ერთსულოვნად დაუჭერდნენ მხარს ევროკავშირში გაერთიანებას, აზერბაიჯანლებთან (56%) და სომხებთან (49%) შედარებით. ეთნიკურ უმცირესობებს უფრო მეტად ახასიათებთ გაურკვევლობა ამ საკითხში, ანუ, ისინი ამბობენ, რომ თავს შეიკავებდნენ ხმის მიცემისგან, ან არ იციან პასუხი. მოსახლეობა სულ უფრო და უფრო ოპტიმისტურად უყურებს იმ საკითხს, თუ როდის გახდება საქართველო ევროკავშირის წევრი. 2021 წლის

გამოკითხვაში, 28%-მა გამოთქვა მოსაზრება, რომ ქვეყანა ევროკავშირის წევრი მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში გახდება, რაც 2019 წელთან შედარებით 13 პროცენტული პუნქტით უფრო მაღალი მაჩვენებელია.

ევროკავშირში გაწევრიანების მხარდამჭერებს, პირველ რიგში, მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელი ხიბლავთ. გამოკითხულთა 56%-მა ამბობს, რომ ისინი მხარს დაუჭერდნენ ევროკავშირში გაწევრიანებას, რადგან შედეგად, მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა. დაახლოებით 36%-თვის წამყვანი უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსაზრებებია, ანუ გარეშე საფრთხეებისგან უკეთ დაცულობა (18%), ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გაზრდილი შესაძლებლობა (17%).

მართალია, გამოკითხულთა მცირე რაოდენობა მისცემდა ხმას ევროკავშირში გაწევრიანების წინააღმდეგ ჰიპოთეტურ რეფერენდუმში, თუმცა, მოწინააღმდეგეები საკუთარ არჩევანს ამყარებენ მოსაზრებით, რომ ევროკავშირი ზიანს მიაყენებს ჩვენს კულტურასა და ტრადიციებს (31%). მათი 31% ფიქრობს, რომ ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს დამოუკიდებლობას შეზღუდავს, ხოლო 20%-ის აზრით - რუსეთთან ურთიერთობას გააფუჭებს.

მთლიანობაში, უფრო მეტი ადამიანი ფიქრობს, რომ ქვეყანა ევროკავშირის წევრობისთვის მზად არაა, ვიდრე, რომ მზადაა. უმრავლესობის აზრით, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას ხელს უშლის პოლიტიკური გამოწვევები, როგორებიცაა ტერიტორიული კონფლიქტები (37%) და პოლიტიკური არასტაბილურობა (37%). მხოლოდ 19% ასახელებს დაბრკოლებად განუვითარებელ ეკონომიკას, ხოლო 18% - რუსეთს.

საქართველოს მოქალაქეები მოელიან, რომ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ გაუმჯობესდება საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო. რესპონდენტების 67% ფიქრობს, რომ საქართველოში მნიშვნელოვნად ან გარკვეულწილად გაიზრდება განათლების ხარისხი. ამას მოსდევს სამუშაო ადგილების ოდენობა (74%) და პენსიები (71%). უმრავლესობა (68%) ფიქრობს, რომ ევროკავშირში გაერთიანება ძალიან ნეგატიურად, ან უფრო ნეგატიურად, ვიდრე პოზიტიურად იმოქმედებს საქართველოს ურთიერთობებზე რუსეთთან. მოსახლეობის 9% მოელის ძალიან დადებით, ან გარკვეულწილად დადებით ეფექტს.


დანართი 1: ეთნიკური უმცირესობები

ევროპის ფონდის “კვლევებში, როგორც წესის, შერჩევაში მეტობითაა წარმოდგენილი ეთნიკური უმცირესობები, მათი მოსაზრებების უკეთ შესწავლის მიზნით. ჯამში, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემებში, 916 რესპონდენტი გამოიკითხა, რომელთაგანაც 480 რესპონდენტი თავს მიიჩნევდა სომეხად, 380 კი - აზერბაიჯანლად. წინამდებარე სექცია აჯამებს ეთნიკურად ქართველი და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი რესპონდენტების ძირითად სოციალდემოგრაფიულ მახასიათებლებს. დამოკიდებულებების შესახებ შეკითხვების მსგავსად, რესპონდენტების სოციალდემოგრაფიული მახასიათებლებიც ეთნოლინგვისტურ ჭრილში განსხვავდება.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი რესპონდენტები უფრო ნაკლებად არიან დასაქმებულები, თვითდასაქმებულები, ან ანაზღაურებად სამუშაოში ჩართულები, მეტწილად ეთნიკური ქართველებით დასახლებულ თემებთან შედარებით. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული არეალების წარმომადგენლების მხოლოდ 25%-ია დასაქმებული, ქართულენოვან ადგილებში ეს მაჩვენებელი 44%-ია, ეროვნულ დონეზე კი - 42%.

მაღალი ალბათობით, ეს შეუსაბამობა უკავშირდება ქალების ნაკლებ მონაწილეობას სამუშაო ძალაში. საყურადღებოა, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ პუნქტებში რესპონდენტთა 25%-მა განაცხადა, რომ დიასახლისია. ეთნიკურად ქართველებით დასახლებულ ადგილებში, ისევე, როგორც ეროვნული მასშტაბით (12%), იგივე უფრო ნაკლებმა ადამიანმა განაცხადა (11%).

2019 წლის ტალღასთან შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც თავს დასაქმებულად მიიჩნევენ. ეს ზრდა ეროვნულ დონეზე სამი პროცენტული პუნქტი იყო, ეთნიკურად ქართველებს შორის - ორი, ხოლო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში - თითქმის ექვსი. აღსანიშნავია, რომ დაუსაქმებელ რესპონდენტთა წილი შესაბამისად შემცირდა.



დიაგრამა 27: ბევრ ოჯახს შემოსავლის რამდენიმე წყარო აქვს. გთხოვთ, დამისახელოთ თქვენი ოჯახის შემოსავლის ყველა წყარო გასული 12 თვის მანძილზე. გთხოვთ, გაიხსენოთ თქვენი ოჯახის ყველა წევრის შემოსავლის ყველა წყარო. (%)


რესპონდენტები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ადგილებიდან უფრო მეტად არიან დამოკიდებულები შემოსავლებზე სასოფლო-სამეურნეო საქონლის გაყიდვიდან (46%), სახელმწიფო პენსიებიდან და სახელმწიფო დახმარებიდან (34%) და, უფრო ნაკლებად, ანაზღაურებადი სამუშაოდან (17%). ეთნიკური ქართველებით დასახლებული თემების წარმომადგენელი რესპონდენტები, უმეტესწილად, დამოკიდებულები არიან ოჯახის სხვა წევრის ანაზღაურებად სამუშაოზე (55%), პენსიებსა და მთავრობის მხარდაჭერაზე (46%) და სასოფლო-სამეურნეო საქონლის გაყიდვაზე (20%, დიაგრამა 27).

უმცირესობების გადაჭარბებული დამოკიდებულება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვაზე შეიძლება იმით აიხსნას, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობები, ძირითადად, სოფლებში ცხოვრობენ. აღსანიშნავია, რომ, იგივე გამოკითხვის მიხედვით, საქართველოს სოფლების მოსახლეობის დაახლოებით 48%-თვის ძირითადი შემოსავლის წყარო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გაყიდვაა.

უფრო მეტი რესპონდენტი ეთნიკურად ქართველთა თემებიდან საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას „შეჭირვებულად“ აფასებს. ამას აცხადებს ეთნიკურად ქართველთა 26%, ეთნიკური უმცირესობების თემების მაცხოვრებელთა 17% და, ეროვნულ დონეზე, 25%. უმცირესობების წარმომადგენელ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (53%) შინამეურნეობის ეკონომიკურ ვითარებას აღწერს, როგორც გაჭირვებით საკმარისს. იმავეს ეთანხმება ქართულად მოლაპარაკე თემების 48% და, მთლიანად, მოსახლეობის 48%. უმცირესობების უფრო მეტი წარმომადგენელი (30%), ვიდრე ქართველი (26%) ფიქრობს, რომ მათი ოჯახის შემოსავალი საკმარისია.

ორივე თემის ნახევარზე მეტი ინტერნეტის ყოველდღიური მომხმარებელია. ეთნიკურად ქართველების და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების 64% ინტერნეტს ყოველდღე იყენებს. უმცირესობების უფრო მეტი წარმომადგენელი იყენებს ინტერნეტს უფრო იშვიათად (29%), ვიდრე ქართველი (12%). უმცირესობების 21% და ქართველების 24% ინტერნეტს არასოდეს იყენებს.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი რესპონდენტები უფრო მეტად აიგივებენ საკუთარ თავს ეთნიკური ჯგუფთან, ვიდრე, ძირითადად ქართველებით დასახლებული ადგილების მაცხოვრებლები. უმცირესობების 68% საკუთარი თავის ასოცირებას ახდენს მხოლოდ საკუთარ ეთნიკურ ჯგუფთან. ეს მაჩვენებელი ეთნიკურად ქართველებისთვის 58%-ია. ისინი უფრო იშვიათად აღიქვამენ თავს ორმაგი იდენტობის მატარებლად (ევროპელი და საკუთარი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, 9%), ვიდრე ქართველები (28%). ქართველების უფრო მცირე წილი აღიქვამს თავს კავკასიელებად (8%), ვიდრე ეთნიკური უმცირესობები (16%).



დიაგრამა 28: გთხოვთ, მითხრათ, როგორია თქვენი ცოდნის დონე შემდეგში? (%)

უმეტესად ეთნიკური ქართველებით დასახლებულ ადგილებში, ფაქტობრივად, ყველამ იცის ქართული (დიაგრამა 28). ასეთ რესპონდენტების დაახლოებით 84% ამბობს, რომ ქართული სრულყოფილად იცის, 16% - კი საშუალოდ. ნახევარზე მცირედით ნაკლებმა რაღაც დონეზე იცის ინგლისურიც: დაახლოებით 8% ამბობს, რომ ინგლისური კარგად იცის, 19% - საშუალოდ, 20% კი ინგლისურ ენას საბაზისო დონეზე ფლობს. გამოკითხულთა 11%-ის გარდა, ყველა აცხადებს, რომ, გარკვეულ დონეზე, რუსულიც იცის. ამის საპირისპიროდ, რესპონდენტები უმცირესობათა თემებიდან ნაკლებად ფლობენ ოფიციალურ სახელმწიფო ენას. მხოლოდ 7% ამბობს, რომ კარგად იცის ქართული, 24% ენას საშუალოდ ფლობს, ხოლო 35% - საბაზისო დონეზე. რესპონდენტთა 34% უმცირესობათა დასახლებებიდან ქართულ ენას საერთოდ არ ფლობს.

უმცირესობათა 28% არ ფლობს ინგლისურ ენას. თუმცა, 77% ამბობს, რომ რაღაც დონეზე, საუბრობს რუსულად. უმცირესობათა თემის 8% რუსულს კარგად ფლობს, 43% - საშუალოდ, 27% კი - საბაზისო დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ, 2019 წელთან შედარებით, უმცირესობათა დასახლებებში, შვიდი პროცენტული პუნქტით გაიზარდა იმ ადამიანთა წილი, ვისაც ქართული ენის გარკვეული ცოდნა აქვს, უფრო მეტი ადამიანი ამბობს, რომ საუბრობს რუსულად (78%), ვიდრე ქართულად (66%).

ბიბლიოგრაფია

Agenda.ge, „საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირის/შენგენის შესასვლელად საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე შემოწმებას გაივლიან“. (<https://agenda.ge/en/news/2021/4> იანვარი 2021).

———. „საქართველოს პარლამენტმა ევროკავშირში მოგზაურობის შესახებ ახალი რეგულაციები დაამტკიცა“, *Agenda.ge* (<https://agenda.ge/en/news/2020/2710>, სექტემბერი 2020).

———. „საქართველო და ევროკავშირი ხელს აწერენ ასოცირების შესახებ შეთანხმებას“, ივნისი, 2014

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, Pub. L. No. 480610000.03.030.016275, 200/42 (2014). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959>

———. კითხვა -პასუხი: შეიძლება ევროკავშირმა საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი შეაჩეროს? Civil.Ge, ივნისი 2019

„საქართველოს კონსტიტუცია“, აგვისტო 1995.

სიბრენ დე იონგი, "ევრაზიული ეკონომიკური კავშირი და ევროკავშირი", ევროპული პოლიტიკის ანალიზი სექტემბერი, No. 11 (2016): 12.

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში „მითები ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ (თბილისი, საქართველო, 2014)

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში. „ჩვენი მანდატი.“ https://www.eumm.eu/en/about_eumm/mandate, 2021.

ევროპის ფონდი. „ევროპაში ინტეგრაცია.“ *ევროპის ფონდი*, 2019.

ევროპის კომისია, „ხშირად დასმული კითხვები შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით“ (https://eeas.europa.eu/sites/default/files/visa_waiver_faqs_en.pdf, 2021).

———. „საქართველო - ვაჭრობა“ (<https://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/georgia/>, April 2021).

———. „კომისარ ავრამოპულოსის განცხადება საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებასთან დაკავშირებით“, ტექსტი, ევროკომისია (https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/STATEMENT_17_363, თებერვალი 2017).

ევროსტატი, „თავშესაფარის მაძიებლების და პირველად თავშესაფრის მაძიებლების განცხადებები მოქალაქეობის, ასაკისა და სქესის მიხედვით - ყოველთვიური მონაცემები (დამრგვალებული)[Migr_asyappctzm]” (<http://appsso.eurostat.ec.europa.eu/nui/show.do>, 2020).

———. „მესამე ქვეყნის მოქალაქეები არაღელვარად იმყოფებოდნენ - წლიური მონაცემები (დამრგვალებული) [migr_eipr]” (<https://appsso.eurostat.ec.europa.eu/nui/show.do>, 2020).

ჰეკე, სტივენ ვან და თეონა ლავრელაშვილი, „საქართველო მზადაა 2024 წელს წევრობაზე განაცხადის გაკეთებისთვის - ევროკავშირიც მზადაა?“, *Www.euractiv.com*, იანვარი 2021.

კახიშვილი, ლევან „საქართველოს საგარეო პოლიტიკის გააზრების ორგანოზომილებიანი ანალიტიკური ჩარჩო: რა გავლენა აქვს პარტიებს შორის კონკურენციას საგარეო პოლიტიკის ანალიზზე“, *Post-Soviet Affairs* 37, no. 2 (მარტი 2021): 174–97, <https://doi.org/10.1080/1060586X.2020.1869455>.

Kieskompas. „საგარეო პოლიტიკა.” <https://kompasi.partiebi.ge/ka/results/compareJustificationPage>, 2020.

ლეჟავა, ნინო „დაუსრულებელი მცდელობა: საქართველო ევროპაში საკუთარი ალაგის ძიებაში“, კარგები ევროპა (<https://carnegieeurope.eu/2021/04/06/georgia-s-unfinished-search-for-its-place-in-europe-pub-84253>, აპრილი 2021).

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. „ევროკავშირის დახმარების მიმოხილვა.” <https://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/evrokavshiris-dakhmarebis-mimokhilva.aspx>, 2021.

———. „საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია.”

<https://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98.aspx?lang=en-US>, 2019.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. “სტატისტიკური ინფორმაცია მიგრაციის შესახებ (საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა),” 2020.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. “პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.” https://geostat.ge/media/38754/FDI_Geo_countries.xlsx, 2021.

———. “უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა.” <https://geostat.ge/media/38256/moqalaqebis-qveyana.xlsx>, 2021.

RFE/RL “ ქართველები ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლას ზეიმობენ“ *რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება* (<https://www.rferl.org/a/georgia-eu-visa-free-travel-/28395173.html>, მარტი 2017).

Schengenvisainfo.com, საქართველოს იუსტიციის მინისტრი აცხადებს, რომ ევროპასთან უვიზო რეჟიმი "სირთულეების წინაშე დგას", (<https://www.schengenvisainfo.com/news/georgian-minister-of-justice-claims-visa-free-regime-with-europe-is-facing-difficulties/>, აპრილი 2019).

ზაჰორკა, ჰანს-იურგენ და ოფელია სარგსიანი, "ევრაზიის საბაჟო კავშირი: ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებების ალტერნატივა?" *ევროპული ხედვა* 13, არა. 1 (2014 წლის ივნისი): 89–96, <https://doi.org/10.1007/s12290-014-0309-3>

ზალკალიანი, დავით. “2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთება და 2030 წელს კანდიდატის სტატუსის მიღება საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია - ამ თემაზე ყურადღება გავამახვილე @MFAgovge-ს 10-წლიანი სამოქმედო გეგმის პრეზენტაციაზე. ვისაუბრე სასარგებლო მექანიზმებზე ამ მიმართულებით - #AA, #EaP, #A3 <https://t.co/2V7kI6q7Yn>,” ტვიტი, @DZalkaliani, აგვისტო 2021.